საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 9 თებერვალი. 2016 წ. №24 (7916), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ვიკითხავ, სხვებან ვიზიარებ!..

ხარი და იუპიტერი, ანუ სანაცვლო სამართალი

როცა იურისტები საეჭვოდ „მკურნალობენ“ ექიმებს!..

③

„ოქროს ჩიტი“, რომელიც ბოღვნად ღირდა

ეროვნულ ვალუტაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება გაძლიერდა და ეს ქართული ვალუტის გაუფასურების 16-წლიანი რეკორდის მოხსნით დასრულდა!

④

სხვათა უბედურების სარჯზე გამდიდრება ქართულ ოჯახებს ანადგურებს!

⑦

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების გადარჩენა შესაძლებელია!

ანაკლიის პორტის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად წარიმართება და მისი საბოლოო გამტარუნარიანობა 100 მილიონი ტონა იქნება. პორტი ოპერირებას წელიწადში 7 მილიონი ტონის გამტარუნარიანობის მიღწევისთანავე დაიწყებს და ეს მშენებლობის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 წელიწადში მოხდება.

⑤

⑥

საქართველოში თითქმის ყველაფერი ძვირდება

⑨

ქართველი ჯარისკაცი ევროპის ჯილდოს

„მაესტროში“ ფინანსური მდგომარეობაა?!,

მაესტრო

②

ოჰ, ეს „თავისუფალი“ სატელევიზიო ფართიფურთი

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.489; ევრო - 2.784;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.615;
100 რუბლი - 3.239; თურქული ლირა - 0.856;
აზერბაიჯანული მანათი - 1.631;
1000 სომხური დრამი - 5.066

ამინდი 9 თებერვლისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -5,	დღე +6
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +2
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -1,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +9
თბილისი:	ღამე 0,	დღე +3

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

„მაესტროში“ ფინაჩური მდგომარეობაა...

ოჰ, ეს „თავისუფალი“ სატელევიზიო ფართიფურთი

საერთოდ, ჩვენს ჭორიკანა კოლეგებს ხშირად სჩვევიათ ხოლმე ზედმეტი აჟიოტაჟი არაფრის გამო... როგორც ეს მოხდა „რუსთავი-2“-ის შემთხვევაში, ახლა კი — ერთი კვირაა ლამის შეგვჭამოს „მაესტროს“ გარშემო ატეხილმა სკანდალებმა — ფრაგმენტული გამოსვლები ტელეეთერში, წილების გადანაწილების პროცესში დაშვებული ხარვეზები, მითქმა-მოთქმა არხის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ა. შ., საზოგადოება იბნევა და ძალიან უჭირს მტყუან-მართლის გარჩევა...

და მაინც, სად არის სიმართლე?

ფაქტია, რომ როგორც „რუსთავი-2“-ის შემთხვევაში, „მაესტროშიც“ დაიწყო და გრძელდება დავა მეწილეებს თუ მეპატრონეებს შორის. ორივე მოსარჩელეს საკუთარი სიმართლე აქვს, თუმცა... აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მაგრამ, რომელიც ყოველთვის ემოციურად მოქმედებს ხოლმე საზოგადოებაზე — შეუქმნის თუ არა საფრთხეს „გიჟივით“ თავისუფალ სატელევიზიო სიტყვას ახალი მეპატრონე?

„რუსთავი-2“ რომ ნაციონალური მოძრაობის სიცრუის რუპორია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ისინი ზუსტად იმ რელსებზე გადაერთვნენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, როგორსაც შევარდნაძის მმართველობის დროს ადგნენ. ოღონდ მაშინ, ასე თუ ისე, ჰქონდათ ობიექტურობის რაღაც ხარისხი, ვიდრე დღეს. ახლა მხოლოდ ტყუილი, ტყუილი, ტყუილი... უარყოფითი ასპექტებით გაჯერებული ცხოვრება ან სულაც სიკეთის დამალვა გახდა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო შიმშილის დაოკების სურვილი...

„მაესტრო“ ამ მიმართულებით თითქოს იკავებდა გარკვეულ ნიშას, მაგრამ იმაზე საუბარი, რომ ობიექტურობის ეტალონი იყო და საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხით სარგებლობდა, ერთობ გადაჭარბებულია. მართლა ვერ გეტყვით, რაში გადაიხადა ძმები გაჩეჩილაძეების მეგობარმა ირაკლი რუხაძემ მილიონები, მაგრამ ასეთივე გაუგებრობას იწვევს ჩემში, რატომ ხარჯავდა მაკა ასათიანი ათასებს ყოველთვიურად „გაკოტრებული“ ტელევიზიის ფუნქციონირებისთვის? თუკი რუხაძის ქმედებებში მხოლოდ პოლიტიკური დაინტერესება იკითხება, რატომ არ იკითხება იგივე ქვენა ინტერესები მაკა ასათიანის „ქველმოქმედებაში“?

„მაესტროს“ უკვე გადაყენებული დირექტორი ბაია გადაბაძის გასაჯაროებული მიმოწერებით (რა თქმა უნდა, თუკი ნამდვილია) ირაკლი რუხაძე მაკა ასათიანს სთავაზობს გარიგებას, 7,5 მილიონის სანაცვლოდ დათმოს შემდეგი აქტივები: არა კომპანიის წილები, არამედ „მაესტრო“, როგორც ბრენდი, „მაესტროს“ ლიცენზიები და სიხშირეები და ტელენაწარმის „კონტენტი“, ანუ შინაარსი. ბაია გადაბაძის მტკიცებით, ირაკლი რუხაძეს „მაესტროს“ სახით, „იმედი-2“-ის გაკეთება უნდოდა...

ვფიქრობ, საზოგადოებამ სწორად უნდა განსაჯოს, რეალურად რა ხდება. მართლა ვისი ინტერესები დგას ტელევიზიების უკან, რას ემსახურება მათი ობიექტურობა. მაკა ასათიანმა აღიარა, რომ შეცდომებს ყველა უშვებს: „ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ალბათ, ის არის, რომ შეცდომებს ყველა უშვებს — ადამიანებიც, პოლიტიკოსებიც, მთავრობაც. მთავარია, რომ ეს შეცდომა დავინახოთ, ვაღიაროთ და გამოვასწოროთ...

მართლაც, რომ დროა დამთავრდეს საზოგადოების გადაღლა და ინფორმირება ისეთი საკითხებით, რომელიც არაფერს აძლევს, გარდა ნერვების მოშლისა... რის დამტკიცებას ცდილობენ ტელევიზიონშიკები? ისინი მაყურებლის მაღალ ნდობას იმსახურებენ? როგორ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ენდო „რუსთავი-2“-ს, ან „მაესტროს?“, თუნდაც „იმედს“... ბოლოს და ბოლოს, ჯერ „იმედი“ რა არის, „იმედი-2“ — რაღა უნდა იყოს?!

მართლაც რომ შავღონდით ამდენი სატელევიზიო ფართიფურთით...

ნია ფიფია

P. S. ტელეკომპანია „მაესტროს“ მეწილე მაკა ასათიანი მიიჩნევს, რომ ძმები გაჩეჩილაძეები სიტუაციის მსხვერპლები არიან.

ნუთუ ეს მართალია?!

ნ. ფ.

ჯეიმს აპატურაი:

MAP-ის მიღება ახლა ვერ მოხდება

„მე რომ ვიყო ასპირანტი ქვეყნიდან, ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ნატოში შესვლა და არა MAP-ის მიღება“ — ეს განცხადება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ჯეიმს აპატურაის ეკუთვნის.

მისი თქმით, MAP-ი როგორც წევრობის სამოქმედო გეგმა, შეიქმნა როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, მას არ უნდა ჰქონოდა ასეთი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორიც ახლა აქვს.

„იმის თქმით, რომ MAP-ი ისევ საჭიროა, ხაზს ვუსვამთ მის პოლიტიკურ ხასიათს. ეს არის რეალობა, მოგვწონს ეს თუ არა. ვფიქრობ, ყურადღება უნდა გამახვილდეს პირველ ნაწილზე — პრაქტიკულ მექანიზმებზე და არ მოხდეს ფოკუსირება პოლიტიკურ ასპექტზე — წევრობის სამოქმედო გეგმაზე. MAP-ის საკითხზე თანხმობა ჯერ არ არის და გულახდილად რომ ვთქვათ, ეს არის ის, რისი გაკონტროლებაც ძნელად თუ შეგვიძლია. რასაც ჩვენ ვაკონტროლებთ, ეს არის პრაქტიკული იმპლემენტაცია. რა უნდა გავაკეთოთ ერთად? უნდა დავრწმუნდეთ, რომ პრაქტიკული მომზადების კუთხით ყველა ცარიელი ადგილი შევავსეთ და მოვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროც. მე ვფიქრობ, პროცესს დააზიანებს თუ ყველა პოლიტიკურ შეხვედრაზე MAP-ი დასახელდება მიზნად. ვფიქრობ, ეს ქმნის იმედგაცრუებას.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი პროცესში ოპოზიციის როლზეც საუბრობს და ფიქრობს, რომ ეს არის როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობა.

— თუ მთავრობას ყურადღება გამახვილებული აქვს იმპლემენტაციაზე, რომელი მთავრობაც არ უნდა იყოს ის, ოპოზიცია, ჩემი აზრით, უნდა დაფიქრდეს რამდენად სასარგებლოა პროცესისთვის მთავრობას მოსთხოვონ MAP-ი და მერე განაცხადონ, რომ ხელისუფლებამ წარმატებას ვერ მიაღწია, ვინაიდან მათ ვერ მიიღეს MAP-ი. MAP-ი, რომელიც ვერ მიიღო ვერავინ და რომლის მიღებაც ახლა შეუძლებელია. მესმის შიდა პოლიტიკა და არ მინდა ამაში ძალიან ჩავერიო, თუმცა ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნება აქცენტი იმპლემენტაციაზე გააკეთოს, რადგან MAP-ის მიღება ახლა ვერ მოხდება. არ უნდა ვუყუროთ ამ საკითხს ბრმად და რატომ უნდა ვაქციოთ პოლიტიკურ ფეხბურთად, — განაცხადა აპატურაიმ.

„უკრაინაში ქართველი ემიგრანტი ჩინოვნიკები ერთმანეთს დაერივნენ

მიხეილ სააკაშვილმა ალექსანდრე კვიტაშვილი მასშტაბური კორუფციის ხელშეწყობაში დაადანაშაულა

ანალიტიკოსი სიმონ კილაძე უკრაინაში ბოლო დროს არსებული დაპირისპირების შესახებ წერს.

ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი თანამემამულე, ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი მასშტაბური კორუფციის ხელშეწყობაში დაადანაშაულა.

უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა, 5 თებერვალს ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტისა და ტელეწამყვანის სავიკ შუსტერის თოქ-შოუში „შუსტერ ლაივ“-ში გამოსვლისას, უკრაინის მთავრობა — პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი და მისი კაბინეტის წევრი-მინისტრები ტრადიციულად გააკრიტიკა.

მიხეილ სააკაშვილმა განსაკუთრებით მკაცრად ისაუბრა თავის თანამემამულეზე - უკრაინის ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილზე, რომელსაც თავის დროზე თვითონ გაუწია რეკომენდაცია მინისტრად დანიშვნაზე... როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გადადგომის თაობაზე განცხადება ცხრა თვის წინ აქვს დაწერილი, მაინც ყოველდღე დადის სამსახურში და ხელფასს იღებს. იგი თითქოსდა მინისტრია, მაგრამ მას სამინისტროში არავინ არაფრად არ აგდებს, მის პიროვნებას სერიოზულად არავინ აღიქვამს. სწორედ ამიტომაც უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროში ფართოდაა გავრცელებული ცალკეული ფარმაცევტული კომპანიების ლობირება...

ასეთმა უკონტროლობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ უკრაინაში დღეს, სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, მედიკამენტები ყველაზე უფრო ძვირად ღირებულია. ამ უმნიშვნელოვანესი სფეროსათვის ბიუჯეტიდან საჭირო თანხის მხოლოდ 30% გამოყოფილი და იმასაც იტაცებენ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ოდესაში არსებული საავადმყოფოს ყველა ხელმძღვანელს საკუთარი აფთიაქები აქვთ გახსნილი.

ქართული მედიასივრცის კურატორად ამერიკის ელჩი ხომ არ დაგვენიშნა?!

აშშ-ის ელჩი საქართველოში იანკელი აცხადებს, რომ საელჩო დაინტერესებულია იმ მოვლენებით, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს მედიაგარემოს და მიმდინარე პროცესებს. „მაესტროს“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას მან ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების გამო.

„ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია საქართველოში დემოკრატიის წარმატება. საქართველოს დემოკრატიისთვის წელს მნიშვნელოვანი წელიწადია, რადგან შემოდგომაზე არჩევნები ტარდება. ჩვენი პრიორიტეტია ასევე, რომ პოლიტიკური სცენის ყველა მოთამაშის ხმა ისმინებოდეს მოსახლეობის მიერ, რაშიც მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საელჩო დაინტერესებულია იმ მოვლენებით, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს მედიაგარემოს და მიმდინარე პროცესებს. ამიტომ ვითხოვეთ შეხვედრა მაესტროს ხელმძღვანელობასთან. ამ ეტაპზე ჩვენ ვაკვირდებით ვითარებას, ამიტომ მოხარულები ვართ, რომ გარკვეულ მოთამაშეებთან გვქონდა შეხვედრა. მომავალში გვსურს ვიხილოთ, რომ სრულად იყოს უზრუნველყოფილი ის, რასაც ვეძახით თანაბარ სათამაშო ველს“, — განაცხადა იან კელიმ.

როცა იურისტები საეჭვოდ „მკურნალობენ“ ექიმებს!..

ხარი და იუპიტერი, ანუ სანატრელი სამართალი

ზევსს (რომაულად იუპიტერს) ფინიკიის მეფის ულამაზესი ასული — ევროპა შეუყვარდა. მას გოგონას მოხიბვლის უამრავი საშუალება ჰქონდა, მაგრამ ამ დიდი არჩევნიდან, მან რატომღაც მისი მოტაცება აირჩია. ზევსი მშვენიერ თეთრ ხარად გადაიქცა და იმ მინდორში მივიდა, სადაც ევროპა, თავის მოახლე-მეგობრებთან ერთად, ერთობოდა. ხარი თვინიერად იქცეოდა, გოგონებიც გაუთამამდნენ, და ევროპა ზურგზეც კი შეაჯდა. ზევსიც ამას უცდიდა, ადგილიდან მოსწყდა და ევროპაც გაიტაცა.

მოკლედ ზევს-იუპიტერს ევროპას მოტაცება ხახვივით შერჩა.

ამის შემდეგ თითქმის სამი ათასი წელია, არსებობს გამოთქმა: ის, რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არაო.

აქედან დაედო საფუძველი უსამართლობას თუ შერჩევით სამართალს (რომელი სახელიც მოგწონთ ის გამოიყენეთ).

მართალია, ამგვარ ქცევას უსამართლოს ვუწოდებთ, მაგრამ თქვენ თვითონ განსაჯეთ: იუპიტერ-ზევსი ერთი იყო, ხარები კი უამრავი. სამართალი ზევსის ისეთ ძლევამოსილ შვილებზეც ვრცელდებოდა, როგორებიც ათენა, აპოლონი თუ არესი იყვნენ. ის კი არა, სამართალს ზოგჯერ მეხთამტეხი ზევსიც ემორჩილებოდა. ასე, რომ საქმე ობიექტიური თვალსაზრისით მთლად ცუდად არ იყო.

დუჩე მუსოლინი კიდევ შორს წავიდა, „მეგობრებს — ყველაფერი, სხვებს — კანონის მიხედვითო“, ბრძანა და ავტომატურად ზევსზე უფრო უსამართლო გახდა.

ისე, მაინც რამდენი მეგობარი ეყოლებოდა დუჩეს? ათი, ოცი, ასი? რაც არ უნდა ბევრი ჰყოლოდა, სამართალს მაინც გაცილებით მეტი ადამიანი იპოვიდა.

დუჩეს რას ვერჩით, მას თავისი ცოდვებიც ეყოფა, აი ლუდოვიკო XIV, წარბშეუხრელად ამტკიცებდა, სახელმწიფო ეს მე ვარო, და განა მარტო ის? ივანე მრისხანე, შაჰ-აბასი, ჰენრიხ VIII და სხვა მრავალი ტირანი, სამართლად იმას მიიჩნევდნენ, რაც მათ მოსწონდათ და სიამოვნებდათ.

ასე, რომ იუპიტერის დროინდელი სამართალი სანატრელად იქცა.

შემდეგ ვითომ ტირანების, ფაშისტებისა და თვითმპყრობლების დრო წავიდა და დემოკრატიამაც დაისადგურა, მაგრამ სამართლისა და სამართლიანობის პრობლემა ისევ დგას. ის კი არა, ძალაუფლების ერთგვარი დელეგირებაც მოხდა. პრინციპი — ისე მოვიქცევი, როგორც მინდა, უფრო ფართო პრინციპმა — ისე მოიქეცით, როგორც მინდამ ჩაანაცვლა.

დაუჯერებელია?

აი, თუ არ გჯერათ.

რამდენიმე ცნობილი ფსიქიატრი, პროფესორები, არაერთ წიგნის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს ავტორები, უამრავი პაციენტის მშველელი და დამხმარეები, ქუჩიდან ისე გაიტაცეს და დაატიმრეს, როგორც ამერიკულ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში ხდება ხოლმე. თუმცა არა, იქ ერთი ზარის უფლება, ადვოკატის გამოძახება და სხვა ისეთი რამეებიცაა გათვალისწინებული, რაც აქ არც კი გახსენებიათ. მუქარით, შანტაჟით, ჩვენების გამოძალვაც საძრახისი თურმე მხოლოდ პირსისხლიანი კომუნისტების დროს ყოფილა, თორემ ახლა — კარგი რა, რა მოხდა, ყველაფერი ხდება! და სხვა ამგვარი აბსურდული განმარტებები.

ექიმებთან ერთად ცნობილი ბიზნესმენი, მისი ოჯახის წევრები და მეგობრებიც დააპატიმრეს. რა თქმა უნდა, ფულიც მოსთხოვეს, ჯერ ათი, კარგა ხნის ვაჭრობის შემდეგ ექვს მილიონზე შეთანხმდნენ. აი თუ წაგიკითხავთ, ტყვეს ორმოში რომ ჩააგდებენ და გამოსასყიდს სთხოვენ, ისე.

ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილეც გარიეს საქმეში. მერე რა, რომ არაფერ შუაში იყო და ვერც იქნებოდა. აბა რა ექნათ? სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლის, კერძოდ, ქრთამის აღების მისაყენებლად, თანამდებობის პირის მონაწილეობა იყო აუცილებელი.

მერე რა, რომ იმ დასკვნას, რომლის მართებულობასაც პროფესორებს ედავებიან, ხელი კიდევ ოცამდე ექიმმა მოაწერა? ისინი ხომ საერთოდ არც გახსენებიათ — სტანდარტული პასუხია? კარგი, რა!..

მერე რა, რომ იმ პირმა, რომლის ბედის შემსუბუქებაც თითქოს ბრალდებულებს უნდოდათ, ციხეში 10 წელზე მეტი გაატარა? კარგი რა!..

შემდეგ დროება შეიცვალა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბიზნესმენს ქრთამი არავისთვის მიუცია. სხვა სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ არც მინისტრის მოადგილეს აუღია რამე. ახლა იმაზე მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა როლი ითამაშეს, უფრო სწორედ იშუამავლეს, ექიმებმა ამ მიუცემელ-აუღებელი ქრთამის საქმეში.

სასაცილოა? რა თქმა უნდა, სატირალი რომ არ იყოს.

სასამართლო კი აგერ მეექვსე წელია, გრძელდება და დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

ერთ ცნობილ სიმღერაშია „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარიაო“. სულმნათ შოთას თავი დავანებოთ და პროკურატურაში ისევ ის ხალხი მუშაობს (ზოგი კიდევ უფრო მაღალ თანამდებობაზეც!), ვინც ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო, ჰოდა, ვის შევჩივლოთ?!.

ამ დროს კი ერთ-ერთი ბრალდებული, ცნობილი ექიმი, ფსიქიატრიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დამაარსებელი და ფსიქიატრიის კათედრის ყოფილი გამგე, ისე გაათავისუფლეს თანამდენობიდან, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია არც კი გახსენებიათ და მთელი ამ ხნის მანძილზე უმუშევარია. მერე რომელი დაწესებულებიდან გაათავისუფლეს? როგორც ძველები იტყოდნენ, იურისტების „სამჭედლოდან“ — სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ჩვენ ისევ სასამართლოს იმედზე ვართ, რომელიც „გონივრულ ვადაში“ უნდა დასრულდეს. ყოველ შემთხვევაში, კანონში ასე წერია.

ამას წინათ გამართულ მოსამართლეთა ყრილობაზე, არაერთხელ ითქვა — „დაუშვებელია მოსამართლეებზე სიძულვილის ენით ლაპარაკიო“.

კაცთმოძულეობიდან ღმერთმა დაგვიფაროს. ჯერ პიროვნულად არა ვართ ასეთები და მერე პროფესიულად — ჩვენი საუბარი ხომ ხშირად წამალზე უფრო მეტად შველის ყველაზე უფრო შეჭირვებულ ადამიანებს!

მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ მოკრძალებით შეგახსენებთ:

გონივრულად და გონივრულ ვადებში, ბატონებო!

თამარ გოჩიტაშვილის, ზურაბ ბერიას და გიორგი ნანეიშვილის თხოვნითა და კონსულტაციით

თეიმურაზ სილაგაძე

რას მოგვიტანს კრიზისების მართვის ახალი მოდელი?

საქართველოში კრიზისების მართვის ახალი პროექტი ამოქმედდა — წარმატებული ბრიტანული მოდელის ქართული ანალოგი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ეროვნული სიტუაციური ოთახი გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო.

გიორგი კვირიკაშვილმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად სიტუაციური ოთახი დაათვალიერა და უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელისგან მოისმინა ინფორმაცია პროექტის შესახებ.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის მთავრობას, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ელჩს საქართველოში და ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველს კრიზისების საკითხებში სერ გარი ჯონსონს გაწეული დახმარებისთვის. მისი განმარტებით, პროექტს საფუძველი ჩაეყარა ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს და წარმატებით განხორციელდა. პრემიერ-მინისტრის თქმით, კრიზისებზე მყისიერი რეაგირება, ადეკვატური მართვა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის მთავრობისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

„ჩვენ ვცხოვრობთ გამოწვევებით სავსე რეგიონში. გამოწვევები არის სხვადასხვაგვარი, ეს არის ის გამოწვევები, რომლებიც მომდინარეობს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა თუ ოკუპირებული ტერიტორიების თემებიდან. ეს არის ასევე სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეები, რომელიც ასევე მრავლად არის ჩვენს რეგიონში. ამ ტიპის საფრთხეებთან გამკლავებას სჭირდება მეტი კოორდინაცია და სწორედ ეროვნული სიტუაციური ოთახი არის ის ბრიტანული მოდელი, რომელიც დაინერგება საქართველოში. იგი იძლევა საშუალებას სხვადასხვა უწყებებს შორის იყოს მაქსიმალური კოორდინაცია, რათა მაქსიმალური ეფექტურობით გავუმკლავდეთ კრიზისულ სიტუაციებს,“ — განაცხადა პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას.

მანვე მადლობა გადაუხადა უსაფრთოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს გაწეული სამუშაოსთვის და იმედი გამოთქვა, რომ ბრიტანელი ექსპერტები დარჩებიან და ჩაერთვებიან პროექტის შემდგომ განხორციელებაში.

ეროვნული სიტუაციური ოთახის პროექტი 2014 წელს შეიქმნა, მისი მშენებლობა და და ტექნიკური აღჭურვა დასრულდა 2015 წლის დეკემბერში. ეროვნული სიტუაციური ოთახი — ეს არის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტი, სადაც კრიზისების მართვას სხვადასხვა უწყების 100-მდე თანამშრომელი განახორციელებს.

რუმინეთი გვეხმარება, რათა დიდი ევროპული ოჯახის წევრები გავხდეთ

რუმინეთსა და საქართველოს პარლამენტებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რუმინელ კოლეგას ვალერიუ შტეფან ზგონეას შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ, უსუფაშვილმა განაცხადა, ორი წლის წინ, რუმინეთში, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმებები სრულდება და პარლამენტებს შორის ურთიერთობა უფრო და უფრო ღრმავდება.

მისი განმარტებით, თანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობას და თანამშრომლობას რუმინელ და ქართველ პარლამენტარებს შორის. სპიკერის განცხადებით, რუმინეთი იყო და რჩება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ პარტნიორად ევროინტეგრაციის სფეროში.

„რუმინეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესი წარმატებით დასრულდეს და დიდი ოჯახის წევრები გავხდეთ. ჩვენ ბევრ საჭირო რეკომენდაციას ვიღებთ და ამას ჩვენ ვაფასებთ. საქართველო მზად არის, იყოს არა მხოლოდ დახმარების მიმღები, არამედ იყოს თანასწორი პარტნიორი ძალიან ბევრი მიმართულებით. კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს და რუმინეთს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ პარტნიორული ურთიერთობების წყალობით, შავი ზღვის ევროპის და აზიის დამაკავშირებელ ხიდად გადაქცევისთვის. ამის თობაზე კონკრეტული ნაბიჯები გვექნება გადადგმული, რათა ვიყოთ ინიციატორები ძალიან ბევრი პროექტების, რომელიც მთელ ევროპასა და აზიას მოიცავს. ჩვენ ამისთვის უნიკალური შესაძლებლობები გვაქვს არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობა მთავრობებს, პარლამენტებს და ჩვენს ქვეყნებს შორის“, — დასძინა უსუფაშვილმა.

„ოქროს ჩიტი“, რომელიც ბდღვნად ღირდა

წარმატებული ეროვნული ბანკის წარუმატებელი საქმეები

აი, უკვე მერამდენე წელია, საქართველოს ეროვნული ბანკი ავანსცენიდან არ ჩამოდის, მის წარმატებულ თუ წარუმატებელ, ეროვნულ თუ ანტიეროვნულ საქმეებზე გაუთავებლად ლაპარაკობენ სატელევიზიო არხებით, წერენ პრესაში. ამის შემყურეს გაგიჩნდებათ კითხვა: ღირს კი ამდენ სალაპარაკოდ ქვეყნის ცენტრალური ბანკის ნაღვაწი? ალბათ, ღირს, როგორც ჩანს, ეს „ოქროს ჩიტი“ ბდღვნად ნამდვილად ღირს.

დავიწყოთ იმით, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი სულ რამდენიმე დღეში დაემშვიდობება თავის სავარძელს, პარლამენტს კი ქვეყნის ცენტრალური ბანკის არც 2014 წლის და არც 2015 წლის ანგარიში დღემდე არ განუხილავს. ამას წინათ გიორგი ქადაგიძემ, „მაესტროს“ ეთერში გამოსვლისას, იმედი გამოთქვა, რომ სებ-ის ანგარიშს პარლამენტი თებერვალში მაინც განიხილავდა. **„ძალიან გასაკვირია, თქვა მან, რომ რიგ დეპუტატებს არ აქვთ სურვილი, მოისმინონ ეროვნული ბანკის ანგარიში, მით უმეტეს, რომ ჩვენი ყველა პროგნოზი პრაქტიკულად გამართლდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლები ჩამოდიან საქართველოს გამოცდილების გასაზიარებლად. ამიტომ ეს უნდა იყოს, ალბათ, მთავარი ტრიბუნა, სადაც განვიხილავთ ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხს. იმედს გამოვთქვამ, რომ თებერვლის პირველსავე კვირაში მოხდება ეროვნული ბანკის ანგარიშის მოსმენა“.**

თებერვლის პირველი კვირაც გავიდა და მეორეც დაიწყო, მაგრამ პარლამენტში ეროვნული ბანკის ანგარიში რატომღაც არავის გახსენებია. კეთდება განცხადებები, რომ ეროვნული ბანკის ანგარიში არასრულყოფილია, რომ მისმა ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შენიშვნები. ამ კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურს არ აქვს ინფორმაცია, განიხილავს თუ არა პარლამენტი ეროვნული ბანკის ანგარიშს. იგი ამბობს, რომ ეს არა მისი, არამედ პარლამენტის ბიუროს გადასაწყვეტია. მეჭიაურის განცხადებით., საკანონმდებლო ორგანომ ანგარიშის განხილვა ერთხელ ეროვნული ბანკის თხოვნით, ორჯერ კი კვორუმის არარსებობის გამო გადადო.

ამ ურთიერთგადაბრალების კორიანტელში მოდი და გაარკვიე, რომელია მართალი და რომელი მტყუანი. თუმცა, ორივე რომ ტყუის, ამას რა დიდი გარკვევა უნდა! რეალობა ერთია, ეროვნული ბანკი მოვალეა, წლიური ანგარიში დადგენილ დროში პარლამენტში წარადგინოს, ხოლო პარლამენტი მოვალეა, ეს ანგარიში მოისმინოს, დაიწუნოს, ან დადებითად შეაფასოს, გამოავლინოს ხარვეზები და სებ-ის ხელმძღვანელობას მათი გადაჭრა მოსთხოვოს. მით უფრო, რომ პარლამენტი ერთადერთი ორგანოა, რომლის წინაშეც ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის არასწორ პოლიტიკასა და ნაკლოვანებებზე, ბანკთან ერთად, პასუხისმგებელია პარლამენტიც.

ასეა, პასუხისმგებლობა კი აკისრიათ, მაგრამ შემსრულებელი რომ არც ერთია და არც მეორე? აი, რაც შეეხება თავის ქებას, ეს, როგორც ჩანს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გაცილებით კარგად ეხერხება, ვიდრე ლარის კურსის სტაბილურობაზე ზრუნვა. ქადაგიძეს რომ ჰკითხო, ამ პრობლემის მოგვარება კანონმდებლობით ეროვნული ბანკის ფუნქციაში არ შედის, თუმცა მასზე მთავრობასა და პარლამენტთან ერთად ეროვნული ბანკიც არის პასუხისმგებელი, ვინაიდან გაუფასურებული ლარი ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობასაც დიდ საფრთხეს უქმნის. ეროვნული ვალუტის დევალვაციამ ლამის ეკონომიკა თავზე დაგვამხოს, უმუშევრობა და სიღატაკე ცხოვრების ნორმად აქციოს, ბანკის პრეზიდენტი კი იმას ტრაბახობს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენი გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოდიან და მის განზოგადებაში თუ არ მოგვეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეგვიშლითო(!).

ეროვნული ბანკის წარმატებულობაში ეჭვი რომ არავის შეეპაროს, ხშირად ფინანსურ მონაცემებსაც იშველიებენ. ამბობენ, რომ რეგიონში საქართველოს საბანკო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რომ არის, იქიდანაც ჩანს, რომ დღემდე ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს: „ბაზელ 1“-ით დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 13,6 პროცენტს აჭარბებს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 17,4 პროცენტს აღწევსო. ბანკის ხელმძღვანელობა და მისი მხარდამჭერი ექსპერტები ხშირად აპელირებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ეროვნული ბანკის პოლიტიკის დადებითად შეფასებაზე, ხოლო რატომღაც დუმან იმავე ფონდის მიერ ბანკისთვის მიცემულ შენიშვნებსა და მითითებებზე. ასეთ ფაქტად ეკონომიკის ექსპერტი **მიხეილ დუნდუა** ასახელებს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, რომელსაც ეროვნული ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის მიუხედავად, უკვე 3 წელია, არ აქვეყნებს.

„ისეთი დამაფიქრებელი მოცემულობის ფონზე, – აცხადებს მიხეილ დუნდუა, – როცა მოსახლეობის საბანკო დავალიანება მის განკარგვად შემოსავალს უკვე 65 პროცენტით აჭარბებს და ვალის მომსახურება განკარგვადი შემოსავლების 20 პროცენტზე მეტია, ეროვნული ბანკი 2012 წლის შემდეგ არც ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს ქმნის და სავალუტო ფონდის არც სხვა რეკომენდაციებს ასრულებს. ლარს აუფასურებს არა ეროვნულ ეკონომიკაში დაბანდებული კრედიტი, არამედ ჭარბი ვალი, ანუ სესხი, რომელიც მოსახლეობის გაღატაკებას იწვევს“.

კრიტიკული შენიშვნები აქვთ **„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციაშიც“. მათი განცხადებით, სავალუტო ფონდის მოთხოვნების საპირისპიროდ, ხდება დოლარში სესხის გაცემა იმ მომხმარებლებზე, რომელთაც შემოსავალი ლარში აქვთ, რაც იწვევს სავალუტო რისკების მთლიანად მომხმარებლის ზურგზე აკიდებას და მოსახლეობის მასობრივად გაღატაკებას.**

> **ეროვნულ ვალუტაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება გაძლიერდა და ეს ქართული ვალუტის გაუფასურების 16-წლიანი რეკორდის მოხსნით დასრულდა!**

ყოველ წელს, როდესაც საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ჩამოდიოდა, თავის დასკვნაში მიუთითებდა, რომ ეროვნული ბანკი მოვალეა, ქვეყნის ეკონომიკაში დოლარიზაციის მაჩვენებელი შეამციროს. **ბანკის თავკაცი ქადაგიძე ფონდს ამის პირობას კი აძლევდა, მაგრამ საქმით საპირისპიროს აკეთებდა. ამის ნათელი მაგალითია ბოლო ერთ წელიწადში ლარის გაუფასურების პარალელურად დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც შემცირების ნაცვლად მთელი 10 პროცენტით გაიზარდა და საერთო ჯამში 70 პროცენტს მიაღწია.** ეს უბრალოდ ცუდი კი არა, ძალიან ცუდია, რადგან ამ დროს ქვეყნის ეკონომიკა და მასთან ერთად ლარიც ხდება ზედმეტად მგრძნობიარე გარე შოკების მიმართ. იგი დიდად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. ფაქტობრივად, ლარი როგორც სრულფასოვანი ვალუტა, არსებობს იმიტომ, რომ მას ფულის მნიშვნელოვანი ფუნქცია, – დაგროვება, – დაკარგული აქვს. ხალხი დანაზოგს ამიტომაც უცხოურ ვალუტაში ინახავს.

ფაქტიც ხელთა გვაქვს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, საბანკო სექტორში ანაბრების მოცულობა, 2015 წლის 11 თვის მონაცემებით, 15, 182 მილიარდ ლარს შეადგენს. აქედან ეროვნულ ვალუტაში ანაბრებზე განთავსებულია მხოლოდ 4,605 მილიარდი, ანუ მთლიანი დეპოზიტების 30,4 პროცენტი. საპნის ბუშტივით გაქრა ქადაგიძის „ლარიზაციის პროგრამა“, რომელიც მან ამ 6 წლის წინათ დიდი პომპეზურობით გამოაცხადა და რომლის შესახებაც ის თავმომწონედ საუბრობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებთან. **ქადაგიძისეული ლარიზაციის ნაცვლად ხელთ შეგვრჩა ჩვენთვის უკვე ტრადიციად ქცეული დოლარიზაციის პრობლემა, რომელიც კვლავაც მწვავედ დგას ქვეყნის ეკონომიკის წინაშე.**

ყველასთვის ცნობილი ამბავია, როდესაც ლარის მასის ზრდის ტემპი დოლარის შემოდინების ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად აღემატება, ლარის კურსი უფასურდება. აქედან გამომდინარე, ლარის გაუფასურების პროცესში გადამწყვეტი როლი ეკისრება ეროვნული ბანკის მიერ სწორად განხორციელებულ მონეტარულ პოლიტიკას. ეკონომისტთა აზრით, 2014 წლის შემოდგომაზე, როდესაც დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის მკვეთრი დაცემა დაიწყო, გარე ფაქტორებთან ერთად ამ პროცესს ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით განვითარებულმა არასწორმა ფისკალურმა და მონეტარულმა პოლიტიკამ. ამის დასტურად მოყავთ 2014 წლის დეკემბერი, როცა იმავე წლის ნოემბერთან შედარებით, მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტა უპრეცედენტო მაჩვენებლით – 241,5 მილიონი ლარით გაიზარდა(!).

რა ზომები მიიღო ეროვნულმა ბანკმა ლარის დევალვაციის შესაჩერებლად? მან ჯერ ეკონომიკის სტიმულირების, შემდეგ კი ბანკებისთვის ლიკვიდობის პრობლემის მოტივით რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდა დაიწყო და მიმოქცევაში ისედაც ჭარბი რაოდენობის ლარის მიუხედავად, კომერციული ბანკების დაკრედიტება 350 მილიონიდან 700 მილიონ დოლარამდე გაზარდა. **ექსპერტთა განცხადებით, იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ ბანკს ფულის გაძვირება დაეწყო, რათა მასზე წვდომა შეემცირებინა და ლარი გაემყარებინა, პირიქით გააკეთა – მიმოქცევაში ფულის მასა გააორმაგა.**

ამან რა შედეგი გამოიღო, ყველასთვის ცნობილია. მართალია 2015 წლის სექტემბრიდან ფულის მასის შემცირება დაიწყო, რაც ეროვნული ვალუტის კურსზეც აისახა (1 დოლარის ღირებულება 2,38 – 2,40 ლარის ფარგლებში მერყეობდა), მაგრამ დეკემბერში ფულის მასა ისევ გაიზარდა. **ამას დაემატა მთელი ერთკვირიანი დევალვაციის განმავლობაში ცენტრალური ბანკის დუმილი, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა, ეროვნულ ვალუტაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება გაძლიერდა და ეს ქართული ვალუტის გაუფასურების 16-წლიანი რეკორდის მოხსნით დასრულდა!**

ასეთია მწარე რეალობა, რომელიც პარლამენტში ქადაგიძის ანგარიშის მოუსმენლობით, მთავრობისა და ბანკირთა მიერ წარუმატებლობის ურთიერთგადაბრალებით ვერ შეიცვლება. დროა, „ქართულმა ოცნებამ“ აღიაროს დიდი შეცდომა, რომელიც მან ხელისუფლებაში მოსვლისას დაუშვა: პროკურატურაში, სასამართლოში, ეროვნულ ბანკსა და რიგ სხვა უწყებებში ხელმძღვანელ პოსტებზე სააკაშვილის ნარჩენები დატოვა და იმ უბნებზე კოლექტიური მურუსიძეები და ქადაგიძეები მოამრავლა. წერილის დასაწყისში ეროვნული ბანკი „ოქროს ჩიტად“ შემთხვევით არ მოგიხსენებია. ფაქტია, ამ ჩიტის ბდღვნით, მსხვილ-მსხვილმა ჩინოვნიკებმა მილიონებს გამოკრეს ხელი, ხალხი კი სიღატაკისა და შიმშილისთვის გაწირეს.

ოთარ ხუციშვილი

◎ თბილისის მერია განმარტავს

ნაცები ვირეშმაკობას განაგრძობენ

დედაძალაძის მერიის განცხადებით, სოციალური ქსელების საშუალებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ–ერთი წევრის მიერ ვრცელდება ინფორმაცია და ფოტოები, რომ თითქოს სპეციალური ტექნიკა, რომელზეც განთავსებულია თბილისის მერიის საშვი, ციხისძირში გარკვეულ სამუშაოებს აწარმოებს. მერიაში აცხადებენ, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და მიზნად ისახავს თბილისის მერიის დისკრედიტაციას.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ფოტოებზე აღნიშნული ავტომანქანები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ ეკუთვნის. რაც შეეხება ტექნიკაზე განთავსებულ საშვებს, ისინი თბილისში 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობისას დროებით გაიცა და მხოლოდ სტიქიის ზონაში გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში საკუთარი სპეციალური ტექნიკით არაერთი კომპანია იყო ჩართული და სრულიად შესაძლებელია, ფოტოზე აღნიშნული ავტომანქანებიც რომელიმე კომპანიის საკუთრებაა“, – ნათქვამია განცხადებაში.

ანაკლიის პორტის მშენებლობა

ANAKLIIS ღრმაწყლოვანი პორტს JSC ANAKLIA DEVELOPMENT CONSORTIUM-ი ააშენებს, რომელიც „თიბისი ჯგუფისა“ და ამერიკული „კონტი ჯგუფის“ ერთობლივი კომპანიაა, — ამის შესახებ გუშინ პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის გამოცხადებული კონკურსი თითქმის 1 წელია მიმდინარეობს. ბოლო ეტაპზე 2 კონსორციუმი გავიდა — JSC ANAKLIA DEVELOPMENT CONSORTIUM (GEORGIA) და ANAKLIA PORT AND INDUSTRIAL ECO PARK (GEORGIA); POWER CHINA - HUBEI HONGYUAN POWER ENGINEERING CO, LTD (CHINA); BRITISH ECO POWER LTD (GREAT BRITAIN) SPARTAK ERAGIA — (Physical Person); (CONSORTIUM).

„სამთავრობო კომისია კომპანიების შერჩევის პროცესში ხელმძღვანელობდა შემდეგი კრიტერიუმებით: ფინანსური კრიტერიუმი—კანდიდატი ვალდებული იყო წარმოედგინა ვალდებულების შესრულების საბანკო გარანტია, რომლის მინიმალური ოდენობა განსაზღვრული იყო 20 მილიონი აშშ დოლარით. ტექნიკური კრიტერიუმი — პორტის წინასწარი კონცეფცია, რომელიც ფასდებოდა პორტის წინასწარი დიზაინის, განხორციელების გრაფიკის, პორტის ოპერაციების მართვის კონცეფციის, ადგილობრივი განვითარების გეგმის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ეკონომიკური კრიტერიუმი — პორტის ფინანსური მოდელი, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო პორტის წინასწარ კონცეფციასთან. ფინანსური მოდელში ასახული უნდა ყოფილიყო შეთავაზების ეკონომიკური და ფინანსური სიმყარე და წარმოდგენილი ბიზნეს წინადადებების მდგრადობა. დამატებით, წარმოდგენილ უნდა ყოფილიყო მარკეტინგული კონცეფცია და ნავსადგურში ტვირთების მოზიდვის ხედვა. სამართლებრივი კრიტერიუმით,“—განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ანაკლიის პორტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ მშენებლობის ვადები იქნება დაცული და სულ მალე საქართველოს ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი ნავსადგური.

„ეს იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობები საქართველოსთვის, რათა „აბრეშუმის გზის“ კონცეფცია სრულმასშტაბიანად ამოქმედდეს საქართველოში და სამხრეთკავკასიის სატრანსპორტო კორიდორი გახდეს თვისობრივად ახალი გამტარუნარიანობისა და ახალი შესაძლებლობების. ამასთან, ამ პორტის მშენებლობით საქართველოში შეიქმნება რამდენიმე ათასი ახალი სამუშაო ადგილი და ჩვენ ჩაფიქრებული გვაქვს, რომ პორტის გარშემო შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელიც კიდევ ერთი ახალი სუნთქვა იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის,“ — აღნიშნა პრემიერმა.

ანაკლიის პორტის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად წარიმართება და მისი საბოლოო გამტარუნარიანობა 100 მილიონ ტონა იქნება. პორტი ოპერირებას წელიწადში 7 მილიონი ტონის გამტარუნარიანობის მიღწევისთანავე დაიწყებს და ეს მშენებლობის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 წელიწადში მოხდება. როგორც „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენლები აცხადებენ, მშენებლობის პროცესში დასაქმებული იქნება 3400 ადამიანი, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ პორტში 6400 ადამიანი იმუშავებს.

ანაკლიის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგური დაახლოებით 400 ჰექტარზე განთავსდება. პორტში გაჩერებას შეძლებენ 10 000 კონტეინერის ტევადობის ხომალდები. პორტი უზრუნველყოფს დიდი ზომის გემების მომსახურებას, რომელთა შემოსვლა საქართველოს პორტებში აქამდე პრობლემური იყო. ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ტვირთბრუნვის შესაძლებლობა წელიწადში 100 მილიონი ტონა უნდა იყოს.

პირობების მიხედვითვე, მშენებლობა წარიმართება რამდენიმე ფაზად პორტის სიმძლავრის ზრდის ეტაპების მიხედვით — როცა პორტის არსებული ტვირთბრუნდა მიაღწევს პორტის გამტარუნარიანობის 90%-ს, კომპანია ვალდებული იქნება დაიწყოს პორტის მშენებლობის შემდეგი ეტაპი. აქედან გამომდინარე, ინვესტორთა მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, მშენებლობის კონკრეტული ვადები განსაზღვრული არ არის.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობასაც ითვალისწინებს.

„გაზპრომის“ საკითხი ამოწურულია

პლატფორმის „დაიცავი თავისუფლების“ მიერ „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებების საკითხზე შეხვედრის მოთხოვნის კომენტირებისას პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „გაზპრომთან“ არანაირ სტრატეგიულ მოლაპარაკებებზე საუბარი არ არის.

„მე ვხვდები არასამთავრობო სექტორის ძალიან ბევრ წარმომადგენელს და მაქვს გარკვეული განრიგი. არ ვიცი, კონკრეტულად რას ეხება. „გაზპრომის“ თემას თუ ეხება, მე არ მაქვს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ეს თემა და ამ ფორმატში განხილვა გავაგრძელო. მე მგონია, რომ ეს საკითხი ამოწურულია, იმიტომ, რომ არანაირ სტრატეგიულ მოლაპარაკებებზე საუბარი არ არის. წმინდა ტექნიკური სასიათის პრობლემების აღმოფხვრაზე იყო საუბარი და მე მგონია, რომ სრულიად უსაფუძვლოა ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური სპეკულაციების გაგრძელება“, — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, საქართველოს აქვს სტრატეგიული ურთიერთობა აზერბაიჯანთან, ასევე, კომპანია „სოკართან“ და სტრატეგიულ ურთიერთობებს „არაფერი არ ემუქრება“.

„ვილპელკომთან“ მოლაპარაკებები არავითარ რისკებს არ შეიცავს

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „ვილპელკომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებებში საფრთხეებს ვერ ხედავს.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მას მარეგულირებელ კომისიასთან და დავოსის ფორუმის ფარგლებში კომპანიის წარმომადგენლებთანაც ჰქონდა შეხვედრა. პრემიერის განცხადებით, კომპანია საცალო კლიენტურის ბიზნესის შესყიდვას აპირებს და არა შავ ზღვაზე გამავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი, ან სხვა მაგისტრალური ინფრასტრუქტურის შეძენას.

„ეს არის შიდა ბიზნესი, რომლის შემთხვევაშიც ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. ჩვენ გვყავს სხვა კომპანიები რუსული მონაწილეობით და ამაში მე რისკებს ვერ ვხედავ. საუბარია ქვეყნის შიგნით კლიენტურის ქსელის ბიზნესის შეძენაზე,“ — განაცხადა კვირიკაშვილმა.

თვითმმართველობების ფინანსური პრობლემების დასაწყისი

თვითმმართველობების გადაყვანას ახალ სახაზინო კოდებზე მათ საფინანსო საქმიანობას რისკის ქვეშ აყენებს. მთელი რიგი ხარჯების დაუფინანსებლობა ქვეყნის საფინანსო უწყებებისთვის მეტი დაფიქრებისა და „ნოვაციის“ კარგად გააზრების აუცილებლობის წინაშე აყენებს. ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა თავის გადარჩენა შესაძლოა, 2015 წელიდან გადმოყოლილი „ნაშთის“ საფუძველზე მოახერხოს, თუმცა ვისაც „ნაშთი“ არ აქვს, მათ პროექტების დაფინანსება გაუჭირდებათ. მით უმეტეს, თუ ფინანსთა სამინისტრო „პოზიციას“ არ შეცვლის და პრობლემას დროულად არ დაარეგულირებს.

ექსპერტი იურისტი ლევან ალაფიშვილი რეგიონის და ზოგადად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შეუსრულებლობას და არსებულ პრობლემებს ფინანსთა სამინისტრის კომპეტენციას უკავშირებს და აცხადებს, რომ გადასახადების ადმინისტრირება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია და შესაბამისად რომელიმე დაგეგმილი პარამეტრის შეუსრულებლობა ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებლობაა.

„ახალ სისტემაზე თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკის გადაყვანას ის მინუსი აქვს, რომ ხელყოფს მათ დამოუკიდებლობას, პირველ რიგში საბიუჯეტოს“, - აცხადებს ალაფიშვილი.

მისივე თქმით, რაც შეეხება 2016 წლის პირველი თვის მონაცემებს, ეს პირველ რიგში გადასახადების ადმინისტრირების უფლებამოსილების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

აჭარის ნაერთი ბიუჯეტი 21,9 %-ით, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტი 15,5%-ით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2016 წლის იანვარში აჭარის ა/რ ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 13 მლნ 74 ათას 800 ლარი იყო, თუმცა 1 თებერვლის მდგომარეობით შესრულებამ 2 მლნ 861 ათას 500 ლარი შეადგინა.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ საკუთარი შემოსავლების ადმინისტრირება-გადარიცხვისას ცენტრალურ ხელისუფლებას, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სახით, აქვს შესაძლებლობა არ შეასრულოს, ან უსაფუძვლოდ შეაყოვნოს და გადადოს ოპერაცია.

„გადასახადების შეკრება-ამოღების ადმინისტრირება არის ცენტრალური ხელისუფლების, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების კომპეტენცია, შესაბამისად რომელიმე დაგეგმილი პარამეტრის შეუსრულებლობა მისი პასუხისმგებლობაა: ან არასწორად, არარეალურად დაიგეგმა რაღაც, ან დაგეგმილი არ ან ვერ შესრულდა“, — აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

მოკლედ, თვითმმართველობებს 2016 წლის იანვარში მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები შეექმნათ, რომელზეც ღიად არ საუბრობენ, მაგრამ ცხადია, რომ ტენდენციის ამ სახით გაგრძელება მნიშვნელოვნად შეაფერხებს მათ საქმიანობას. შესაბამისად, ქვეყნის საფინანსო უწყებებს მოუწევთ არსებული ვითარების დაძლევის გზების ძიება.

ქართულ მიწას უცხოეთში ველარ გაიტანენ

მთავრობის ინიციატივით, მიწის ნაყოფიერი ფენის ექსპორტი შეიზღუდება. ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენას მთავრობა პარლამენტისთვის საგაზაფხულო სესიაზე გეგმავს. ეს საკითხი მოხვდა იმ ინიციატივების ჩამონათვალში, რომელთა შესახებაც მთავრობა პარლამენტისთვის კანონპროექტების წარდგენას გეგმავს. კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით კი ცვლილების განხორციელება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონში იგეგმება.

პროექტი პარლამენტს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ავტორობით წარედგინება.

როგორც პარლამენტში შეტანილ დოკუმენტშია აღნიშნული, მოქმედი კანონმდებლობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რეკულტივაციის მიზნით გადაცემასთან და ნიადაგის ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს არ არეგულირებს. მთავრობის განმარტებით, „იმის გათვალისწინებით, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და რთულად აღდგენადი ბუნებრივი რესურსია, დაუშვებელია მისი დიდი ოდენობით ქვეყნიდან გატანა, რათა დეგრადირებული ფართობების გაზრდა არ მოხდეს“.

შესაბამისად, მთავრობა მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული შეზღუდვების დაწესებაა საჭირო.

„დასარეგულირებელია უკანონოდ მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი განკარგვის საკითხი, ასევე დაზუსტებას საჭიროებს „ნიადაგის“ ცნების განმარტება. კანონპროექტის მიზანია, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად მოხსნილი და დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებულ იქნას სხვა ტერიტორიის რეკულტივაციისათვის გამოყენების არეალების გათვალისწინებით. ამასთან, კანონპროექტით იზღუდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ექსპორტი, გარდა ნიადაგის საანალიზოდ აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის მიზნისა,“ — ნათქვამია მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილ დოკუმენტში.

◎ სოციუმი

რა იქნება ხვალ?

საქართველოში თითქმის ყველაფერი ძვირდება

ლარის დევალვაციის პროცესმა, რაც ძირითადად გაზრდილი სახელმწიფო ხარჯების შედეგია, სამომხმარებლო პროდუქციის გაძვირება გამოიწვია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2016 წლის იანვარში ინფლაციამ, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5.6 პროცენტი შეადგინა. ეკონომისტების შეფასებით, ინფლაცია გაცილებით მასშტაბური იქნებოდა, რომ არა ნავთობპროდუქტების გაიაფება.

საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის პროცესი კვლავ გრძელდება. მართალია, მთავრობა ამას გარე ფაქტორებს აბრალებს, მაგრამ ეკონომისტების მიერ იანვრის ბოლო დღეების ანალიზმა აჩვენა, რომ საქმე სხვაგვარად არის: ლარი უფასურდება იმ დროს, როდესაც მთავრობა ფულს ხარჯავს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან, ანუ იზრდება მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობა, ხოლო ლარი გამყარდება იმ დროს, როდესაც მთავრობა შემოსავალზე ნაკლებს ხარჯავს და ბიუჯეტის ნაშთი იზრდება. საქართველოს რეფორმების ასოციაციის — „გრასის“ — ეკონომისტი ბესიკ ნამჩავაძე განმარტავს, რომ **„ლარის კურსზე უარყოფითი გავლენა იქონია ბიუჯეტის დეფიციტურმა ხარჯვამაც“.**

როგორც ჩანს, ამას მთავრობაშიც აცნობიერებენ, რადგან ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცის შესახებ ალაპარაკდნენ. მაგრამ სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ლარის დევალვაციის პროცესი თავისას შვრება და საქართველოში სამომხმარებლო ფასები დღითი დღე იზრდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის იანვარში, გასული წლის იანვართან შედარებით, ინფლაციამ 5,6 პროცენტი შეადგინა.

მოსახლეობა ფასების გაცილებით საგრძნობ მატებას უჩივის, რადგან ფასები პირველადი მოხმარების პროდუქციაზე უფრო მეტად არის მომატებული, ვიდრე ინფლაციის საშუალო მაჩვენებელია.

მაგალითად, სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 12-თვიან პერიოდში 5 პროცენტზე მეტად გაძვირდა. ფასების მნიშვნელოვანი მატება აისახა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი — თითქმის 34 პროცენტი, ზეთი — თითქმის 12 პროცენტი და ყავა, ჩაი და კაკაო — 10 %.

ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ქვეჯგუფის ფასები გაზრდილია 7.3 პროცენტით.

11 პროცენტით მოიმატა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების ფასებმაც. ძირითადად გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების (22,6 %) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (11,2 %) ღირებულება.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის დირექტორმა **ნინო ევგენიძემ** რადიო „თავისუფლების“ დილის გადაცემაში განაცხადა, რომ ჯანდაცვის გაძვირება განსაკუთრებით შემაშფოთებელი ტენდენციაა:

„განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ ფასების ზრდის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს ჯანდაცვის სფეროში, რაც მოსახლეობასაც უძვირებს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას და სახელმწიფოსაც უძვირებს საყოველთაო ჯანდაცვას, რაც, შესაძლოა, საკმაოდ მძიმედ აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტზე“.

სტატისტიკის სამსახურის გამოქვეყნებული მონაცემებიდან ჩანს, რომ გაძვირებულია კომუნალური გადასახადებიც, კერძოდ, საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეობის ჯგუფში ფასების 8,4-პროცენტიანი მატება აღინიშნა.

აღსანიშნავია, რომ, წლიური ინფლაციის გარდა, ზრდის ტენდენცია შეინიშნება 1 თვის მონაცემებშიც. კერძოდ, 2016 წლის იანვარში, 2015 წლის დეკემბერთან შედარებით, ჯანმრთელობის დაცვა გაძვირდა 1,3 %-ით, ფასები გაიზარდა ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზეც 3,6 %-ით.

საქსტატის კვლევის თანახმად, ერთი თვის მანძილზე შთამბეჭდავი ცვლილება აჩვენა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფმა. ეს პროდუქცია 2016 წლის იანვარში, 2015 წლის დეკემბერთან შედარებით, 19 პროცენტით გაძვირდა. ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ფასმაც თითქმის 13 პროცენტით მოიმატა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის დირექტორის ნინო ევგენიძის აზრით, ინფლაციის საერთო მაჩვენებელში ფასების მასშტაბურ ზრდას ნავთობპროდუქტების ფასების შემცირება „აკავებს“:

„ინფლაციის 6-პროცენტიან ნიშნულში შეკავების ძირითადი წინაპირობა ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირებაა. რომ არა ეს ფაქტორი, ინფლაციის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნებოდა, თუმცა, ეს პროცესიც მუდმივი არაა. მაგალითად, გუშინ, პირველად ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ნავთობის ფასმა 35 აშშ დოლარს გადააჭარბა“.

ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ, თუ მთავრობის პოლიტიკაში არაფერი შეიცვალა, ნავთობპროდუქტების გაიაფების შეჩერების შემთხვევაში, ინფლაცია უფრო მეტად გაიზრდება. ასეც რომ არ მოხდეს, 5.6 პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც 5 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, ინფლაციის შესაკავებლად მოსალოდნელია, რომ ეროვნული ბანკი შეეცდება მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრებას, რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის გაზრდას. საბანკო სფეროს ექსპერტი **ლია ელიავა** მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯები უფრო დეკლარაციული ხასიათისაა და რეალურად ის ნაკლებად ახდენს გავლენას ვითარებაზე:

„ეს არის, უბრალოდ, დეკლარაციის დონე. ინფლაცია ეროვნულ ბანკს 2011 წელს გაექცა 14,5 პროცენტამდე, 2002 წელს იყო მინუს 3,3 %-მდე. ანუ რეფინანსირების განაკვეთი, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი, საქართველოში არის არაეფექტიანი, მისი ეფექტი არის 0-ის ტოლი“.

თუმცა, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებისკენ გადადგმული ნაბიჯები მაინც გავლენას ახდენს საკრედიტო ბაზარზე, კერძოდ, ძვირდება ლარში გაცემული კრედიტები და არა მარტო ისინი. შესაბამისად, ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება კრედიტების პროცენტები, დაკრედიტების რაოდენობა კი მცირდება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას და ეკონომიკური აქტივობის კლებას. ამ პრობლემატური წრიდან გამოსვლა შეესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალური შეცვლით, რის სურვილსაც ჯერჯერობით საქართველოს მთავრობა არ ავლენს.

კახა მჭედლიძე

◎ მეზობელმა „მოვლენებს დაასწრო“

რა მიზეზით აგვიკრძალა აზერბაიჯანმა ცოცხალი საქონლის ექსპორტი?

საძართველოდან აზერბაიჯანში ცოცხალი პირუტყვის გაყვანის აკრძალვამ, ფერმერებთან ერთად, ქართველი დიდმოხელეებიც შეაშფოთა. სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია აზერბაიჯანული მხარის პოზიციას არაკოლეგიალურად აფასებს.

რამდენიმე დღის წინათ აზერბაიჯანის შესაბამისმა სამსახურებმა აკრძალვის მიზეზად საქართველოში მსხვილ და წვრილფეხა რქიან პირუტყვს შორის გავრცელებული ვირუსი — ცხვრის კატარალური ცხელება დაასახელეს. საქართველოს სურსათის ეროვნულმა საგენტომ აღნიშნული ვირუსის არსებობა არ დაადასტურა.

ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, რამდენ ხანს დარჩება ძალაში საქართველოდან აზერბაიჯანში ცოცხალი პირუტყვისა და ცხოველური წარმოშობის საქონლის იმპორტზე დაწესებული აკრძალვა. როგორც საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში აცხადებენ, თუ დადასტურდა, რომ ეს დაავადება ნამდვილად საქართველოდანაა შესული, ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანული ბაზარი ქართული პირუტყვისთვის, შესაძლოა, 12 თვის განმავლობაში დაიკეტოს. თუ არ დადასტურდა, ორივე სახელმწიფო მოილაპარაკებს, რა პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ამბობს, რომ აზერბაიჯანმა „მოვლენებს დაასწრო“.

— აზერბაიჯანის მხრიდან ეს იყო პრევენციული ზომა, სადაც დაიბადა ეჭვი, რომ შესაძლოა, ყოფილიყო დაავადება „ლურჯი ენა“ ცხვარში ან წვრილფეხა პირუტყვში, თუმცა, ეს არ დადასტურდა. ჩვენ დიდი ბრიტანეთის რეფერალურ ლაბორატორიაში გავაგზავნეთ შესაბამისი ნიმუშები და მივიღეთ უარყოფითი პასუხი.

როგორც ჩანს, აზერბაიჯანმა უბრალოდ მოვლენებს დაასწრო და შესაბამისი ღონისძიება გაატარა, თუმცა ეს კომუნიკაცია, როგორც წესი, კოლეგიალურად ასე არ ხდება ხოლმე. არის ორმხრივი ურთიერთობა, ძალიან ბევრი სახელმწიფო პროგრამაა, რომელიც ითვალისწინებს ვაქცინაციას. ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც არ არიან გარანტირებული, რომ ანალოგიური შემთხვევა არ ექნებათ, თუმცა, როგორც ჩანს, მაინც დაასწრეს მოვლენებს, გააკეთეს ხმამაღალი განცხადებები, რაც ასეთ შემთხვევებში არ არის ხოლმე გათვალისწინებული, — განაცხადა მინისტრმა.

ის ასევე გამოეხმაურა ქართველი ექსპერტების მიერ გაკეთებულ შეფასებებს და მათ ინფორმაციის გადამოწმებისკენ მოუწოდა.

— მინდა შევეხო ქართველი ექსპერტების მიერ გაკეთებულ კომენტარებს და ყველას მოვუწოდო, რომ იმედია, ეს არ ემსახურებოდა კეკლუცობას, რადგან ეს შეიძლება იყოს ქვეყნის იმიჯისთვის საზიანო. ამიტომ ყველას ვთხოვ, ყოველთვის შეათანხმონ ხოლმე კომუნიკაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, მოიძიონ ინფორმაცია და მხოლოდ შემდეგ გააკეთონ განცხადებები, — აღნიშნა დანელიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

აზერბაიჯანულ მხარესთან კომუნიკაცია უკვე შედგა და მინისტრი დარწმუნებულია, რომ გარკვეული პროცედურების შემდეგ ექსპორტი ჩვეულებრივ განახლდება.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს სახორცე საქონლის ექსპორტმა საქართველოდან აზერბაიჯანში 30 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 47 მილიონი აშშ დოლარი იყო, 2012 წელს — 39 მლნ აშშ დოლარი. 2014 წლის მაჩვენებელზე ნაკლები ექსპორტი მხოლოდ 2011 წელს იყო — 18,2 მილიონი აშშ დოლარი. 2015 წლის მაჩვენებლები ექსპორტის კიდევ 30 პროცენტით შემცირებას ადასტურებს.

ამის ერთ-ერთ მიზეზად საწყის ეტაპზე აზერბაიჯანისთვის ხორცის მიმწოდებლების შეცვლა სახელდებოდა. კერძოდ, გასული წლის დასაწყისიდან აზერბაიჯანის ბაზარს ცოცხალი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვით უკრაინა, ყაზახეთი და რუსეთი ამარაგებდა.

დათო ბეძაური

◎ ინფორმაცია

ქსნის მინის ქარხანა პარალიზებულია

ქსნის მინის ქარხანა „მინა“ გაფიცვის გამო პარალიზებულია, თუმცა ადმინისტრაცია თანამშრომლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ჯერ ისევ არ აპირებს, — იტყობინება გაერთიანებული პროფკავშირი.

გასული ორი დღის განმავლობაში აქციის მონაწილეებს ადმინისტრაციის მხრიდან არავინ შეხვედრია. გაფიცულთა ნაწილმა ღამე ქარხნის წინ გაშლილ კარავში გაათენა. გუშინ სოლიდარობის ნიშნად აქციის მონაწილეებს ტრანსპორტის მუშაკები შეუერთდნენ. ტრანსპორტის პროფკავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ალანია ქსანში მძღოლებთან და მეგზევეებთან ერთად მივა.

შეგახსენებთ ქსნის მინის ქარხნის 200-მდე თანამშრომელი 5 თებერვალს გაიფიცა. მათი მოთხოვნებია ხელფასის მატება 30%-ით, პროფკავშირთან კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება, ადგილობრივი პირველადი პროფკავშირისთვის საოფისე ფართის გამოყოფა.

სხვათა უბედურების ხარჯზე გამდიდრება ქართულ ოჯახებს ანადგურებს!

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების გადარჩენა შესაძლებელია!

წლების განმავლობაში რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციები იმართებოდა. მართლმადიდებლები მოითხოვდნენ, რომ სიონის ტაძრის გვერდით „შანგრილა“ და მსგავსი ტიპის სამორინეები არ ყოფილიყო. ამის მიუხედავად, კაზინოების ბიზნესი საქართველოში განვითარდა და არაერთი ადამიანიც იმსხვერპლა.

მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი არ ჩანდა. გახმიანდა მხოლოდ სამოქალაქო ინიციატივის ჯგუფის მოსაზრება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანებისთვის თვითაკრძალვის მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებით. საამისო საკანონმდებლო ინიციატივა ჯერ კიდევ 2015 წელს საქართველოს პარლამენტშიც შევიდა, თუმცა, ინიციატივა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში დაიბლოკა.

როგორ უნდა გადარჩეს ჩვენი გენოფონდი და, კერძოდ, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები, ანუ ლუდომანები? ამის შესახებ For.ge-ს სამოქალაქო ინიციატივის ავტორი ალექსანდრე სახელაშვილი ესაუბრა.

– ლუდომანია, ანუ აზარტულ თამაშებზე ადამიანის დამოკიდებულება ერთ-ერთი დეპრესიული დაავადებაა. სტატისტიკაც არსებობს, რომ ლუდომანების 75%-ს თვითმკვლელობაზე ფიქრის მცდელობა ჰქონია. ამიტომ შევიმუშავეთ ლუდომანებისთვის თვითაკრძალვის მექანიზმის შემოღება. საქართველოს მოქალაქე, ვინც თვლის, რომ უკვე დამოკიდებული გახდა სამორინეებზე და აზარტთან დაკავშირებით პრობლემები აქვს, ამ კანონის მიხედვით, შეძლებს მივიდეს იუსტიციის სახლში, დაწეროს განცხადება და მოახდინოს საკუთარი თავის თვითბლოკირება. ამ პირის პირადი ნომერი შევა სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში, რის შემდეგაც აზარტული ტიპის დაწესებულება ვალდებულია, პირის შეშვებამდე ადამიანის პირადი ნომერი გადაამოწმოს. თუ ამ ადამიანის პირადი ნომერი სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში იქნება რეგისტრირებული, აზარტული დაწესებულება ასეთ პირს დაბლოკავს. ანუ ეს ადამიანები მოახდენენ „თვითგაშავებას“ და არც ერთ აზარტულ დაწესებულებაში არ უშვებენ.

– გამოდის, რომ თვითაკრძალვა მაშინ უნდა განხორციელდეს, როცა სამორინეებზე დამოკიდებული ადამიანი აკონტროლებს საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას, მაგრამ სამორინეები ჯერ კიდევ ამ თვითაკრძალვაზე თვალს ხომ არ დახუჭავენ და ლუდომანს სამორინეში შეუშვებენ?

– ყველა ადამიანს აქვს რაღაც მომენტი, როდესაც ხვდება, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ასეთ მომენტში თუ მივა და დაწერს განცხადებას, უშველის საკუთარ თავსაც და ოჯახსაც. უამრავი ოჯახია გაუბედურებული. თანაც, ჩვენ არ ვსაუბრობთ სამუდამო აკრძალვაზე, ერთგვარ აღთქმაზე. ეს იქნება გარკვეულვადიანი აკრძლვა. შესაძლოა, პირველი მიმართვა ერთწლიანი იყოს, შემდეგ – სამი წლით აიკრძალოს, ამის შემდეგ კი ათი წლით. რა თქმა უნდა, ეს აკრძალვა უფასო იქნება. მით უმეტეს, ამ ადამიანებს დამატებითი დახმარებაც სჭირდებათ. ეს არის ოფიციალური დაავადება და საერთაშორისო დაავადებათა ნუმერაციაში მას აქვს ნომერი „F 63“. იმისთვის, რომ ეს კანონი ქმედითი იყოს, ჩვენი ინიციატივის მე-14 მუხლი ითვალისწინებს, რომ, თუ კანონის გვერდის ავლით სამორინე თვითბლოკირებულ ადამიანს მაინც შეუშვებს, ფინანსური სანქციის გარდა, იგი ვალდებული იქნება, მოთამაშეს აუნაზღაუროს დახარჯული და წაგებული თანხა. ამიტომ პოტენციური კანონდამრღვევი ვალდებულიც კი ხდება, აღარ დაარღვიოს კანონი. ესეც ორიგინალური ქართული ვერსიაა. სხვათა შორის, ამაზე ბევრი იფიქრეს სამორინეებმა. მათ მითხრეს, რომ ბევრი თვითბლოკირებული ადამიანი შეიძლება შეეცადოს კაზინოს მოტყუებას და შესვლასო. მე კი შევთავაზე მარტივი გამოსავალი, შეშვება ან თითის ანაბეჭდით, რაც 21-ე საუკუნეში მარტივი ტექნოლოგიაა, ან ბიომეტრიული კამერით მოხდეს. ცხადია, ეს შეაჩერებს ადამიანს, რადგან ბიომეტრიული კამერა თვითბლოკირებულის პირად ნომერს ამოაგდებს.

– ჩვენი ღატაკი სახელმწიფოს არგუმენტია, რომ სამორინე ქვეყანაში ფულის შემოტანის მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, უწმინდესი და უნეტარესი ჩვენი პატრიარქი ქადაგებებში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დამღუპველი გავლენის შესახებ ხშირად საუბრობს. ლეტალური (თვითმკვლელობების) ფაქტების გათვალისწინებით, დღემდე საკამათოდ რჩება, ხომ არ უნდა შეიზღუდოს კაზინოების რიცხვი საქართველოში?

– სხვათა შორის, საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალურად მხარი დაუჭირა ჩვენს საკანონმდებლო წინადადებას. მე მაქვს ოფიციალური წერილიც, სადაც საპატრიარქო მიესალმება ამ ინიციატივას. ეს საკანონმდებლო წინადადება მაინც რითია საინტერესო? – ერთი მხრივ, იმ ადამიანებს, რომელთაც მართლაც სჭირდებათ დახმარება, საშუალებას ვაძლევთ, მოახდინონ დისტანცირება ამ უკონტროლო ბაზართან, მეორე მხრივ, არ ვაუქმებთ სამორინეების ბიზნესს, რომელსაც მართლაც სერიოზული შემოსავლები შემოაქვს ჩვენს ბიუჯეტში. აქ უამრავი ადამიანია დასაქმებული. შეხვედრები მქონდა მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან. ამ ინიციატივას მათაც დაუჭირეს მხარი, ზოგმა ღია ეთერითაც გამოხატა მხარდაჭერა. მათ თქვეს, რომ, მართალია, ჩვენი ბიზნესის ვიზიტორების 70-80% ადგილობრივი მოსახლეობაა, მაგრამ შემოსავლის 70-80% ჩამოსული ადამიანების მხრიდან დახარჯული თანხებია. ამიტომ ვფიქრობ, ეს საკანონმდებლო წინადადება გარკვეულ ბიძგსაც მისცემს აზარტული ტიპის დაწესებულებებს, რომ უფრო მეტი მუშაობა გასწიონ უცხოელების მოზიდვაზე.

მოგეხსენებათ, ჩვენს სამეზობლოში აზარტული თამაშები აკრძალულია და საქართველოში ამისთვის საკმაოდ ბევრი ადამიანი ჩამოდის. ამიტომ შეუძლიათ, მათთვის მოაწყონ გარკვეული ტურები, საინტერესო პროგრამები შეადგინონ. თანაც, ჩამოსული ადამიანები არა მხოლოდ ლუდომანები და მოთამაშეები არიან, არამედ – ტურისტებიც, რომლებიც ცხოვრობენ სასტუმროში, ხარჯავენ კვების ფულს.

– ვისზე გაქვთ ეჭვი, პარლამენტში ვინ უნდა ბლოკავდეს ამ ინიციატივას?

– სხვათა შორის, სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებმა მითხრეს, ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ ინიციატივას იმ პირობით, თუ ყველასთვის თამაშის ერთი წესი იქნებაო. მაშინ გამიკვირდა, მაგრამ ამ კანონპროექტის შეფერხება უნდა აწყობდეს აღნიშნული ბიზნესის იმ სეგმენტს, რომელიც უკონტროლოა, ანუ იმათ, სადაც შედიან არასრულწლოვნები... ფაქტობრივად, ჩვენ ვსაუბრობთ არა ბიზნესის რეგულაციაზე, არამედ იმ სტანდარტზე, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სათამაშო ბიზნესი თავისი ფუნქციონირებისას. ეს არის საკმაოდ მაღალი სტანდარტი, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ მარტივად მოგვარდეს ეს სტანდარტი და შეფერხებები არ ჰქონდეს ამ ბიზნესს. **რაც მთავარია, არ უნდა დაგვიწყდეს, რომ სხვისი უბედურების ხარჯზე წარმოუდგენელია, აკეთო ბიზნესი.** პრემიერ-მინისტრის განცხადებამ ძალზე დამაიმედა. პრემიერი პარლამენტში პირველსავე გამოსვლისას შეეხო ამ საკითხს. ვერ მივაწვდინე ბატონ პრემიერს ჩემი ხმა, თუმცა, ვცდილობ. პირადად მე ამ საკითხთან დაკავშირებით ათზე მეტი ეთერი მქონდა, მაგრამ საპარლამენტო განხილვებმა ყველას გული დაგვწყვიტა. ველოდით, რომ ეს ინიციატივა პარლამენტში გავიდოდა, უშუალოდ დეპუტატებიც ამას ელოდნენ. არ მინდა, პოლიტიკური განცხადებები გამომოვიდეს, არ ვუღრმავდები ამ საკითხს, მაგრამ, თუ დეპუტატები წაიკითხავენ ამ ინტერვიუს, იქნებ, დაინტერესდნენ, ბატონ ზურაბ ტყემალაძეს ჰკითხონ, რატომ შეფერხდა ეს კანონი? ზურაბ ტყემალაძის კომიტეტმა მიპასუხა, თითქოს სამინისტროების დასკვნა უარყოფითი იყო. მე ვთხოვე, გადმოეცათ სამინისტროების დასკვნები, იქნებ, ჩვენ რაღაც ვერ გავითვალისწინეთ. გადმოგვცეს და იუსტიციის სამინისტროს დასკვნა ასეთია: თუ გაირკვევა, რომელი უწყება გააკონტროლებს და მონიტორინგს გაუწევს ამ ინიციატივას, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯიო. ანუ ეს პოზიტიური დასკვნაა. ეკონომიკის სამინისტროც ამბობს, რომ აუცილებელია ამ ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაცია, თორემ ისე, ეს ინიციატივა ბუნებრივი და ადეკვატურიაო. ანუ აქაც უარყოფითი არაფერი არ არის. ერთადერთი, ფინანსთა სამინისტროს აქვს ხისტი (მაგრამ არა – უარყოფითი) პოზიცია და ამბობს, თუ დამატებითი უწყების შექმნა იქნება აუცილებელი, ასეთ შემთხვევაში, მხარს არ დაუჭერს ამ ინიციატივას. თუმცა, თუკი დამატებითი უწყების შექმნა არ იქნება აუცილებელი, ეს იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროც მხარს დაუჭერს.



ჩვენი ღატაკი სახელმწიფოს არგუმენტია, რომ სამორინე ქვეყანაში ფულის შემოტანის მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, უწმინდესი და უნეტარესი ჩვენი პატრიარქი ქადაგებებში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დამღუპველი გავლენის შესახებ ხშირად საუბრობს. ლეტალური (თვითმკვლელობების) ფაქტების გათვალისწინებით, დღემდე საკამათოდ რჩება, ხომ არ უნდა შეიზღუდოს კაზინოების რიცხვი საქართველოში?

– რომელიმე კერძო შემთხვევამ, ან ტრაგიკულმა ფაქტმა ხომ არ გიბიძგათ, გეფიქრათ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანებისთვის თვითაკრძალვის მექანიზმის შემოღებაზე?

– რა თქმა უნდა. სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ, მაგრამ ერთმა კარგმა ადამიანმა მოიკლა თავი ამის გამო და მე მახსოვს მისი მცდელობები როგორი იყო. ის მიდიოდა სამორინეებში და სთხოვდა, გამაშავეთ, რომ არ შემოვიდეო. ზოგი უსრულებდა ამ თხოვნას, ზოგი- არა. მისი ოჯახის წევრებიც მიდოდნენ სამორინეებში და სთხოვდნენ, გაეშავებინათ ეს ბიჭი. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ამას ვერ მოერია და დაიღუპა. აქედან გაჩნდა ეს იდეა, ჰქონდეს ადამიანს შესაძლებლობა, დაბლოკოს კაზინოში საკუთარი თავი. მით უმეტეს, ეს მოდებული დაავადებაა, ისევე, როგორც, ნარკომანია. ჩვენს გარშემო ყველას ჰყავს ერთი ადამიანი მაინც, რომელიც ამის გამო გაუბედურებულია.

– სამორინეებში შესვლამდე უცხოელები დაბლოკვის მექანიზმს თუ მიმართავენ? ან, თუ დაინტერესდებიან თქვენი ინიციატივით საზღვარგარეთ?

– უცხოეთში არის სხვადასხვაგვარი პრეცედენტები. თუმცა, ჩვენი ინიციატივა ქართული ვითარებიდანაა ამოზრდილი. მე ვფიქრობ, ეს ინიციატივა საექსპორტოც იქნება. პროფესიით იურისტი არ ვარ, თეოლოგი ვარ, მაგრამ იურისტებთანაც მქონდა კონსულტაცია და გავარკვიე, რომ კანონი მაშინ არის იდეალური, როცა პოტენციურ კანონდამრღვევს დემოტივირებულს ხდის, არ დაარღვიოს კანონი. თორემ, რა თქმა უნდა, ეს არის დაავადება და ასეთ ადამიანს სამორინეში შესვლის მცდელობა, შინაგანი ბრძოლები მაინც ექნება. ასე მარტივი არ არის ამაზე თავის დანებება. ყოველ შემთხვევაში, როცა ადამიანი ერთი წლის განმავლობაში სამორინეში თვითაკრძალვის გამო ვერ შედის, ამ ადამიანთან მუშაობა შესაძლებელია.

არასწორია ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ. ხშირად ასეთი წარმოდგენა აქვთ, თითქოს ლუდომანს არ უყვარს არც შვილები, არც ოჯახი, ამის გამო ყიდის და აგებს ყველაფერს. ასე არ არის, ესენი არიან ჩვეულებრივი, კეთილი, მოსიყვარულე ადამიანები, ეს მძაფრი დაავადებაა და ამ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, როგორც ნებისმიერი ფსიქოლოგიური დაავადების შემთხვევაში. ლუდომანია ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დახმარებით იკურნება. საზოგადოების და სახელმწიფოს ვალია, ეს ადამიანები დაუბრუნდნენ საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახებს. დღევანელი სამყარო გვაძლევს იმის საშუალებას, არ დავღუპოთ ისინი. ველოდები, ალბათ, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, რადგან ბევრმა ცნობილმა თუ არაცნობილმა ადამიანმა დაგვიჭირა მხარი.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ აღიარება

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი მეცნიერი

კომპანიამ Thomson Reuters „მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი მეცნიერები - 2015“ დაასახელა. მათ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საკუთარ მიმართულებებში ჩატარებულ კვლევებში.

მეორე წელია მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი მეცნიერების სიის სათავეშია სტეისი ბ.გებრიელი („კიბოს გენომის ატლასი“) როუნდის უნივერსიტეტიდან, სადაც საქმიანობენ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები. მეცნიერმა შექმნა სხვადასხვა ორგანოების კიბოს მოლეკულური პორტრეტები. მისი ბოლო შრომა მიეძღვნა შიზოფრენიისა და ალჰეიუმერის დაავადების გენეტიკურ საფუძვლებს. მეორე ადგილზეა ჰენრი. ჯ. სნეიტი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან – ფიზიკოსი. მეცნიერი მზის ბატარეიდან ენერგიის მიღების ტექნოლოგიის სრულყოფაზე მუშაობს.

Thomson Reuters 2015 წლის რეიტინგის შედგენისას 21 სფეროში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების ანალიზი გააკეთა. კვლევაში მოცემულია ცნობები 3000-ზე მეტ მეცნიერზე. ასევე, Thomson Reuters -ის დაკვეთით, ანალიტიკოსების მიერ შეფასებულია 2003-2013 წლებში გამოქვეყნებული 120 ათასამდე ნაშრომი.

როგორც მოსალოდნელი იყო სამეცნიერო ცხოვრებაში ყველაზე მეტი ნაშრომი ეძღვნება კლინიკურ მედიცინას, ბიოლოგიას, ბიოქიმიას, მოლეკულურ ბიოლოგიას, გენეტიკას. სწორედ ეს სფეროები აღმოჩნდა ყველაზე ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი შედეგების მიხედვით.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ამ კვირაში გაიმართა სომხეთში საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის ვიზიტი რომელიც მთელი 3 დღე გრძელდებოდა. გარდა ყოველივე სხვა რამისა. სტუმარს ღებულობდნენ თავად პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, რომ არაფერი ვთქვათ თავდაცვის მინისტრზე და საგარეო საქმეთა მინისტრზე. სომხეთში ხიდაშელის ვიზიტის კომენტარებს აკეთებდნენ უფრო აქტიურად ვიდრე საქართველოში. რაზე შეთანხმდნენ მხარეები? ჩვენ ამის შესახებ ვისაუბრეთ ინსტიტუტ „კავკაზის“ დირექტორთან ალექსანდ ისკანდარიანთან.

კატერინა პროკოფიევა: სტანდარტულია, რომ იგი მიიღეს კოლეგამ თავდაცვის სამინისტროდან, პრეზიდენტმაც, პრემიერმაც, საგარეო საქმეთა მინისტრმაც და ყველა სომეხთა კათოლიკოსმაც კი — მთელმა ზედა ფენებმა? ეს მოწმობს ინტერესის გაზრდას სომხეთის მხრიდან თუ მე ვცდები?

საქართველოს და სომხეთის სამხედრო თანამშრომლობა: არაფერი ზედმეტი არ არის

ალექსანდრ ისკანდარიანი: არა, თქვენ არ ცდებით. საქმე ისაა, რომ სომხეთი და საქართველო — ეს არის ურთიერთმოქმედებათა, ურთიერთობათა საკმაოდ უნიკალური ხერხი, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთსა და საქართველოს სულს უხუთავენ საგარეო ძალები დამოუკიდებლობის თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში, 90-იანი წლების დასაწყისიდან. ისინი ორიენტირებული არიან სხვადასხვა ქვეყნებზე, მათ სხვადასხვა მოწინააღმდეგეები ჰყავთ, ზოგჯერ ხდება, რომ მათ სხვადასხვა პოზიცია უკავიათ ორიენტაციის სისტემაში, ვთქვათ, დასავლეთი-აღმოსავლეთი, ევროპა-რუსეთი. მათ მეტად სხვადასხვაგვარი მდგომარეობა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი ამ დროის განმავლობაში ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის უკიდურესად კეთილსაიმედოა, პოლიტიკოსები ახერხებენ, შეინარჩუნონ კეთილმეზობლურ ურთიერთობათა დონე, საერთოდ და მთლიანად კი ისინი მოქმედებენ სამედიცინო პარადიგმის მიხედვით „არ მიაყენო ზიანი“ და უფრო მეტიც. ამას სომხეთში მეტ ყურადღებას უთმობენ, რაც საკმაოდ ბუნებრივია, რომ საქართველო მართლაც მეტად მნიშვნელოვანია სომხეთისათვის, და პირიქით. ამ თვალსაზრისით ის, რომ ასეთ ყურადღებას უთმობენ ამ ურთიერთობებს, მეტად ბუნებრივი რამაა.

— ისინი უშიშროების სხვადასხვა სისტემაში იმყოფებიან — ერთი მათგანი არის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი, მეორე ცდილობს ნატოს წევრობას. და ეს განსაზღვრავს მათ აზრთა სხვადასხვაობას. ყველაზე ხელსაყრელი პლაცდარმები კი ორივე ქვეყნისათვის რაზე თანხმდებიან?

— საქართველოს და სომხეთის ურთიერთობათა დონე ნატოსთან ერთნაირია. სომეხი სამხედრო მოსამსახურეები არიან კონფლიქტების სხვადასხვა ქვეყანაში ნატოს ჯარების შემადგენლობაში. სომხეთი ურთიერთმოქმედებს ნატოსთან, მას აქვს ნატოსთან პარტნიორობის ინდივიდუალური გეგმა, ისევე როგორც საქართველოსთან. მაგრამ სომხეთი, ამას გარდა, მართლაც (აქ თქვენ მართალი ბრძანდებით) არის კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრიც. ობიექტურად, როგორაა დადებითი ან უარყოფითი თვითეული ქვეყნისათვის ასეთი პოზიციონირება, ამას წყვეტენ ამ ქვეყნების ხელმძღვანელები ყოველ კონკრეტულ მომენტში. და ამას აქვს დინამიკა. მაგრამ ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, რაც, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ამ სისტემისთვის, მათ აქვთ მართებული კეთილგანწყობის ურთიერთობანი ყოველთვის. ელემენტარული მაგალითი: საქართველო — რუსეთის 2008 წლის ომის დროს საქართველოსთან ურთიერთობები სომხეთს ყოველთვის ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი არის ზემოხსენებული კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციის წევრი და მის ტერიტორიაზე იმყოფება რუსეთის სამხედრო ბაზა. მას შემდეგ რაც ეს ომი დამთავრდა, სომხეთმა არ აღიარა ოფიციალურად აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, თუმცა, რუსეთიდან გაისმოდა ასეთი მოწოდებები. ესე იგი მცდელობები — შეინარჩუნოს კეთილი ურთიერთობანი იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ და რომელ სისტემაში როგორი კორდინატი არსებობს, — ასეთია სომხეთ-საქართველოს პოლიტიკის ტრეიდ-მარკა, და იგი ვლინდება ყველგან, მათ შორის ერევანში ქალბატონი ხიდაშელის ვიზიტშიც.

— თინათინ ხიდაშელმა მიიწვია სომეხი სამხედროები — ივარჯიშონ საქართველოში შექმნილ ნატოს ამერიკულ ცენტრში. შესაძლებელია, რომ ამას სომხური მხარე თანხმობით უპასუხებს?

— ვფიქრობ, რომ სავსებით შესაძლებელია. რატომაც არა? გავიმეორებ, სომეხ სამხედრო მოსამსახურეებს ურთიერთმოქმედებანი აქვთ არა საქართველოსთან, რომელიც არ არის ნატოს წევრი, არამედ პირდაპირ ნატოსთან. სომხეთს აქვს ალიანსთან ურთიერთმოქმედების ფორმატები, და ეს არის ბაზა, რომელზეც ვარჯიშობენ სამხედრო მოსამსახურეები მთიან ადგილებში მოქმედებისთვის და ყოველგვარი ბრძოლებისა და მოვლენების პირობებში, რაც შეიძლება მისაღები იყოს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებისთვისაც.

— თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ ერევანიც და თბილისიც ერთი მეორის უკმაყოფილონი არიან და ეს იყო გამოწვეული იმ ფაქტით, რომ საქართველოს დელეგაციამ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, როდესაც იქ წარმოდგენილი იყო სომხეთის მხარისათვის მიუღებელი ორი მოხსენება, მათ მხარი დაუჭირა. თუ გამოიწვია ამან რეაქცია სომხეთის მხრიდან და როგორი?

— რაღაც რეაქციას ეს იწვევს, რასაკვირველია, პრესაში იმიტომ, რომ პრესა ყოველნაირია — მემარჯვენეც, მემარცხენეც ისეთიც, რომელშიც ხალხი აკრიტიკებს ხელისუფლებას, ოპოზიციურიც, იგი არის მთავრობის მხარდამჭერიც და ასე შემდეგ. არ მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან ბევრი, მაგრამ რასაკვირველია ასეთი რამ იყო, მე ვნახე ასეთი სტატიები და გამონათქვამები, მაგრამ მთლიანად ამ მოდუსს მე ვუწოდებდი ფრაზას ცნობილი ამერიკული ფილმიდან — „არაფერი პიროვნული“. სომხეთში საკმაოდ კარგად იციან, რომ საქართველოს აქვს თავისი ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია თურქეთთან ურთიერთობებთან, რუსეთთან დისტანციონირებასთანაც და ძალიან ბევრ სხვა პრობლემებთან, რომლებიც აქვს საქართველოს და მის მოკავშირეებს, აგრეთვე აზერბაიჯანთან ურთიერთობაში რაც საქართველოსთვის საკმაოდ ხელსაყრელია. საქართველოში, შესაბამისად ესმით, რომ სომხეთი სხვადასხვა მოედანზე იქცევა ისე რომელიც დიდად არ მოსწონს საქართველოს. ასე იყო, მაგალითად, კენჭისყრის დროს უკრაინასთან რეზოლუციასთან დაკავშირებით. არავითარი პიროვნული აქ არ ყოფილა. ყველაფერი, ასე თუ ისე გასაგებია და ქალბატონმა ხიდაშელმაც თქვა ეს.

— რაც შეეხება ხელმოწერილ შეთანხმებას სამხედრო თანამშრომლობაზე, ისინი შეთანხმდნენ რაიმე ახალზე?

— არა, ვფიქრობ რომ არა. ის, რასაც ხელი მოეწერა, მე ვიტყოდი, საკმაოდ შაბლონური დოკუმენტია და, ძნელად რომ, სომხეთი და საქართველო გააფართოებენ სამხედრო თანამშრომლობის ელემენტებს. სომხეთის რაღაც თანამშრომლობა საქართველოსთან გრძელდება, იგი ყოველთვის იქნება ურთიერთმოქმედებათა სხვადასხვა სფეროებში. ეს აუცილებელია. ჩვენ ვართ მეზობლები და რეგიონიც საკმაოდ რთულია, მაგრამ რომ უცებ ეს ურთიერთმოქმედება მკვეთრად გაიზარდოს, არ ვფიქრობ.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

ტაივანში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 37-მდე გაიზარდა, 117 კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა

ამ დროს 35 კაცი, დაიღუპა 17-სართულიანი შენობის ჩამონგრევის შედეგად იუნკანის რაიონში, სადაც იგი 1994 წელს ააგეს. როგორც ცნობილი გახდა, მამაკაცი და ქალი მაშველებმა ნანგრევებიდან ცოცხლები ამოიყვანეს მიწისძვრიდან ორზე მეტი დღე-ღამის შემდეგ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოს-ანჯელესის მახლობლად 2 თვითმფრინავის შეტაკების დროს ორი დაღუპულის ცხედარი ნახეს

მყვინთავებმა წყნარ ოკეანეში აღმოაჩინეს აგრეთვე ერთ-ერთი თვითმფრინავის ნამსხვრევები დაახლოებით 30 მეტრის სიღრმეზე ლოს-ანჯელესის ნავსადგურიდან 3 კილომეტრში. ძებნა გრძელდება პარასკევიდან, როდესაც ცნობილი გახდა თვითმფრინავების შეტაკების შესახებ ერთ-ერთ მათგანს მართავდა 72 წლის ქალი. თვითმფრინავის ბორტზე იყვნენ 61 და 81 წლის მამაკაცები.

ავღანეთში თვითმკვლელმა სამხედრო მიკროავტობუსი აუფეთქა: 3 ჯარისკაცი დაიღუპა

ინციდენტი სამხედრო ბაზის მახლობლად მოხდა. ფეხით მიმავალმა ტერორისტმა აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომობილთან, რომელშიც სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. 18 კაცი დაიჭრა. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა თალიბებმა იკისრეს.

ფინეთის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის ევროკავშირის სანქციების მოხსნის შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია

„ძალიან ნაადრევია ვილაპარაკოთ ამის შესახებ, ვინაიდან ყველაფერი დამოკიდებულია მინსკის შეთანხმებათა დაცვაზე“, — განაცხადა ფინეთის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ალექსანდრ სტუბმა. მისი სიტყვებით, „ამჟამად ამ მიმართულებით შეინიშნება პატარა ძვრა წინისაკენ, მაგრამ ჩვეულებრივად ამგვარი რამ დროს მოითხოვს“.

„დი ტელეგრაფ“: ბრიტანეთის ჯარები იორდანიაში რუსეთისა და ნატოს შესაძლო კონფლიქტისათვის ემზადებიან

როგორც გაზეთის თანამოსაუბრეები აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ სწავლება მიმდინარეობს იორდანიაში, სირიას რომ ესაზღვრება, ის მზადება არ არის დაკავშირებული ბრძოლასთან ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფების ბოევიკების წინააღმდეგ.

◎ ძიუდო

ქართველთა პარიზული ჯილდოები



91 ძვეყნის 557 სპორტსმენი ცდიდა ძალებს პარიზში გამართულ ძიუდოისტთა „დიდ სლემზე“, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ტურნირი ზედიზედ მეორედ მოიგო ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81), მესამე ადგილი ვალერი ლიპარტელიანს (90) ერგო. საგულისხმოა, რომ ადრე ლიპარტელიანმაც ამ შეჯიბრებაში ორჯერ გაიმარჯვა.

ჭრიკიშვილმა იპონით ზედიზედ დაამარცხა მასპინძელი ალენ შმიტი, ჰოლანდიელი ნაელ ვან დე კამერი და უნგრელი ლასლო ჩოკნია, ნახევარფინალში გაფრთხილებებით ჩამოიშორა გზიდან რუსი ალან ხუბეცოვი, გადამწყვეტ პაექრობაში ბულგარელ ივაილო ივანოვს კი ვაზარით აჯობა.

ლიპარტელიანმა უკრაინელ ქუანჯაუნჰაბალისა და უზბეკ შერალი იურაევს სძლია, შემდეგ ფრანგ ალექსანდრ იდირთან დამარცხდა, არადა, შარშან იგი ამავე ტურნირის ფინალში დაჯაბნა. სანუგეშოში ჩვენებურმა მასპინძლები — რომენ ბუფე და ლუდოვიკ გობერი დატოვა მშრალზე, რითაც ბრინჯაოს დასჯერდა.

ამირან პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (ორივე — 73), გურამ თუშიშვილი, ბექა ღვინიაშვილი (ორივე —100 კგ), ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი (ორივე — +100) კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

პირველი ზონა შეინარჩუნეს

საძართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა (სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ეილათში (ისრაელი) ფედერაციის თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა ევრო-აფრიკული პირველი ზონის 13 გუნდთან ერთად. წილისყრით ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ. ჩვენები B ჯგუფში მოხვდნენ და პირველ ტურში სამხრეთ აფრიკას 3:0 მოუგეს (ეკატერინე გორგოძე-მადრი ლე რუ 6:3, 6:1, სოფიო შაფათავა-ჩანელ საიმონსი 7:5, 6:4, ეკატერინე გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა-ილზე ჰატინგი, მიჩელ საიმონსი 6:4, 7:6). შემდეგ ისინი აფრიკელთა მძლეველ (3:0) დიდ ბრიტანეთს დაუპირისპირდნენ. გორგოძე ქეით სვონთან დამარცხდა — 3:6, 3:6, შაფათავამ კუნძულელთა ლიდერ ჰიზერ უოთსონთან დათმო შეხვედრა — 2:6, 0:6, წყვილებში კი კალაშნიკოვამ და შაფათავამ ჯოსელინ რაეს და ენ სმითის დუეტს აჯობეს — 6:2, 6:4 (1:2). ამ წაგებით საქართველოს ნაკრებმა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა, მაგრამ პირველ ზონაში ადგილი შეინარჩუნა.

B ჯგუფი: დიდი ბრიტანეთი — 2 მოგება (სეტები: 5:1), საქართველო — 1 (4:2), სამხრეთი აფრიკა — 0 (0:6).

A ჯგუფი. **უკრაინა — 2 (6:0), პორტუგალია — 1 (2:4), შვედეთი — 0 (1:5).**

C **ჯგუფი.** ისრაელი — 2 (6:3), ხორვატეთი — 2 (5:4), თურქეთი — 1 (4:5), ესტონეთი- 1(3:6).

D **ჯგუფი.** ბელგია — 3 (9:0), ბულგარეთი-2 (4:5), ლატვია — 1 (3:6), უნგრეთი — 0 (2:7).

ფედერაციის თასის მსოფლიო ლიგის პლეი ოფის ორი საგზურისთვის ბელგიამ დიდი ბრიტანეთი დაამარცხა — 2:0, ხოლო უკრაინამ ისრაელს აჯობა - 3:0. პირველიდან მეორე ზონაში გადაბარგდნენ შვედეთი და სამხრეთი აფრიკა, რომლებმაც, შესაბამისად, თურქეთსა და უნგრეთთან ერთნაირი ანგარიშით (0:2) დათმეს შეხვედრები.

შეჯიბრების ბოლო დღეს ქართველებმა D ჯგუფის მეორეადგილოსან ბულგარელებს მოუგეს — 2:1 (ეკატერინე გორგოძე-დია ევტიმოვა 0:6, 6:4, 6:2, სოფიო შაფათავა-იზაბელა შინიკოვა 6:1, 6:7, 4:6, ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო შაფათავა — ელიზა კოსტოვა, იზაბელა შინიკოვა 6:2, 4:6, 6:4) და ხორვეტეთის ნაკრებთან ერთად პირველ ევრო-აფრიკულ ზონაში V-VI ადგილები გაინაწილეს.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

მილტონ ჰეიგი: ქართული რაგბის მომავალი საიმედო ხელშია

ერთა თასი, თბილისი
საქართველო-გერმანია 59:7

შარშან ინგლისში მსოფლიოს თასზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ორი მატჩი მოიგო, რითაც 2019 წლის მსოფლიოს თასის საგზური დაიბეგა. ამდენად, ამ ოთხი წლის განმავლობაში „ბორჯღალოსნების“ საზრუნავი თამაშის ხარისხის, ტაქტიკური სქემების გაუმჯობესება და ნაკრების ახალგაზრდა კადრებით შევსება იქნება. ეს ტენდენცია ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ ტურშიც გამოჩნდა. ჩვენებურთა ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა გერმანიის ეროვნულ გუნდთან მატჩში ახალგაზრდებიც გამოსცადა და ხელდახელ ბურთაობასაც დიდი ყურადღება დაუთმო.

ალემანები გათამაშების აუტსაიდერები არიან და მათი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, ამიტომაც პირველი ოცი წუთის განმავლობაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს, ლელოც გაიტანეს, მაგრამ ეს შემართება ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 7:59.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მილტონ ჰეიგმა კმაყოფილება გამოთქვა ახალგაზრდების თამაშით: „უწინაც მითქვამს და გავიმეორებ — ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან, ქართული რაგბის მომავალი საიმედო ხელშია“.

„ბორჯღალოსნები“ უკვე გაემგზავრნენ ლისაბონს, სადაც პორტუგალიასთან მეორე ტურის მატჩისთვის მოემზადებიან.

I ტურის დანარჩენი მატჩები: რუსეთი-ესპანეთი 22:20, რუმინეთი-პორტუგალია 39:14.

საქართველო — 5 (4+1 პრემიული) ქულა (59:7), რუმინეთი — 5 (39:14), რუსეთი — 4 (22:20), ესპანეთი — 1 (20:22), პორტუგალია — 0 (14:39), გერმანია — 0 (7:59).

II ტური. 13 თებერვალი. პორტუგალია — საქართველო, ესპანეთი — რუმინეთი, რუსეთი — გერმანია.

* * *

გასულ უქმეებზე ექვსი ერის გუნდებმაც გამართეს პირველი პაექრობები. დუბლინში ირლანდიისა და უელსის მორაგბეთა დაძაბული მატჩი 1974 წლის შემდეგ პირველად დამთავრდა ფრედ — 16:16. ეს გუნდები 125 დაპირისპირებაში მხოლოდ რვაჯერ დაზავდნენ.

შოტლანდია — ინგლისი 9:15, საფრანგეთი — იტალია 23:21.

II რაუნდი. 13-14 თებერვალი. საფრანგეთი-ირლანდია, უელსი — შოტლანდია, იტალია — ინგლისი.

* * *

ევროპელთა ანალოგიით შექმნილი ამერიკის ექვსი ერის გათამაშებაში აშშ, კანადა, ურუგვაი, ჩილე, ბრაზილია და არგენტინა მონაწილეობენ. პირველი რაუნდის შეხვედრები ასე დასრულდა: კანადა — ურუგვაი 33:17, ჩილე — ბრაზილია 25:22, აშშ — არგენტინა 35:35.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

შენგელია განაცხადს დაუბრუნდა

თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩა“ პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატში „ვალენსიას“ ძლევა მოახერხა, თუმცა, ამ წარმატებულ მატჩში ქართველ კალათბურთელს მონაწილეობა არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ შენგელიამ ტრავმის გამო „რეალთან“ ევროლიგის შეხვედრა გამოტოვა და ახლა ესპანური ლიგის ცენტრალური მატჩიც გაუცდა. წინა თამაშისგან განსხვავებით, „თოკო“ ამჯერად გუნდის განაცხადში მაინც გამოჩნდა, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება.

საინტერესოა, რომ „ლაბორალ კუჩას“ მთავარმა მწვრთნელმა ველიმირ პერასოვიჩმა შენგელიას გარდა დარკო პლანინიჩი და მამადუ დიოპიც არ ათამაშა, ალბერტო კორბაჩო კი მხოლოდ სამიოდე წუთით დაიტვირთა.

შედეგად, ისე გამოვიდა, რომ მასპინძელთა მხრიდან მთელმა სიმძიმემ მხოლოდ 8 კალათბურთელზე გადაიარა, თუმცა, ამას ბასკური კლუბისთვის მოგებაში ხელი არ შეუშლია — 79:73.

„ლაბორალ კუჩას“ რიგებში ტრადიციულად საუკეთესო ბერძენი ცენტრი იოანის ბურუსისი (მას მატჩამდე იანვრის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა) იყო ორმაგი დუბლით (13 ქულა, 11 მოხსნა).

გამოსარჩევია ამერიკელი დარიუს ადამსის 21 ქულაც. ამ ფონზე ვალენსიელთა ლიდერ ჯასტინ ჰამილტონის 27 ქულა წყალში გადაყრილი აღმოჩნდა.

შენგელიას კლუბი 15 მოგებით და 4 მარცხით მადრიდის „რეალთან“ ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს, ლიდერი ისევ „ვალენსიაა“ 18 გამარჯვებით, მე-2 პოზიციაზე კი „ბარსელონაა“ 17 მოგებით. „ლაბორალ კუჩა“ მომდევნო მატჩს 13 თებერვალს სტუმრად, „რიო ნატურა მონბუსთან“ ჩაატარებს.

ვთბ ლიგა. XIX ტური. „ნიჟნი ნოვგოროდი“ — „ვითა“ 97:65.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „ნაპოლი“ — „კარპი“ 1:0, „ფროზინონე“ — „იუვენტუსი“ 0:2, „მილანი“ — „უდინეზე“ 1:1, „რომა“ — „სამპდორია“ 2:1, „ვერონა“ — „ინტერი“ 3:3.

ესპანეთი. „ლევანტე“ — „ბარსელონა“ 0:2, „ატლეტიკო“ — „ეიბარი“ 3:1, „გრანადა“ — „რეალი“ 1:2, „სელტა“ — „სევილია“ 1:1, „ბილბაო“ — „ვილიარეალი“ 0:0.

ინგლისი. „სიტი“ — „ლესტერი“ 1:3, „ჩელსი“ — „მანჩესტერი“ 1:1, „ბორნმუთი“ — „არსენალი“ 0:2.

გერმანია. „ლევერკუზენი“ — „ბაიერნი“ 0:0, „გლადბახი“ — „ვერდერი“ 5:1, „ჰერტა“ — „ბორუსია“ 0:0.

საფრანგეთი. „მარსელი“ — „პსჟ“ 1:2, „ბორდო“ — „სენტ ეტიენი“ 1:4.

გიორგი ზოთაძე

◎ სუპერბოული

სამგზის!

პროფესიული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ამერიკული ფეხბურთის სუპერბოულის საიუბილეო — 50-ე გათამაშების გამარჯვებული მესამედ, 1998 და 1999 წლის სეზონების შემდეგ, „დენვერ ბრონქოზი“ გახდა, რომელმაც გუშინ გამთენიისას კალიფორნიაში, სანტა კლარას „ლევისის“ სტადიონზე გამართულ სატიტულო ბრძოლაში „კაროლინა პანტერზი“ დააჩოქა 24:10. საინახაობას 70 ათასი მაყურებელი დაესწრო.



კობა კობახიძე

◎ გამგებელი

სძლიე სიხარბესა შენსა!

ჯამარაულო, აერიდე ჯაბან აურას!

მამაშვილური შეგონება, რომელიც ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ წარმომათქმევინა წლეულს, 13 იანვარს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ წიგნიერთათვის ცნობილი ქალბატონის, მარინე (ტუია) ჭყონიას მიერ გამოქვეყნებულმა ღია წერილმა

ძლიერ მეტოქეს სძლიე ბევრთა გასაოცებლად;
ნუღარ შეტოპავ, ნუ შეარცხვენ „ქართულ ოცნებას“!
სხვას თუ გაწირავ, დაიმძიმებ შენს სინდისს ამით,
რადგან მფარველზე ახლოს არის განკითხვის ჟამი.
ბურთის დიდოსტატს გამგებელის სკამი რომ განდეს,
უნდა უფრთხილდე!
იმედია, რომ ხვდები ამდენს.
თუმცა შორია და ძნელია გზა სტრასბურგამდე,
რკინის ქალამნებს ჩაიცვამენ, ამისი გწამდეს.
კისერს მოიტეხ, თუ სიხარბემ აგიყოლია,
რადგან ამჯერად მუხა შეგხვდა, ანუ ჭყონია*.
ნუ ათქმევინებ: მადა აქვსო ნადევარისა,
ხელმოცარულის, ორი კურდღლის მადევარისა!
რას ვისურვებდი?
მინდა გოჩა ჯამარაულმა
სძლიო სიხარბეს, რაც ამკვიდრებს ჯაბან აურას!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისი

*** ჭყონი მეგრული სიტყვაა და სალიტერატურო ქართულით „მუხის“ შესატყვისია**

◎ თვალსაზრისი

სიახლე ერთიან ეროვნულ გამოცდებში

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტების რეგისტრაცია 9 თებერვლის 10:00 საათიდან 15 მარტის 18:00 საათამდე იწარმოებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, რეგისტრაციის პროცესში მნიშვნელოვანი სიახლეა — აბიტურიენტებს პირადი მონაცემების შეტანა, საგამოცდო ქალაქისა და ჩასაბარებელი საგნების არჩევა პირველ, ძირითად ეტაპზე, 9 თებერვლიდან 15 მარტამდე მოუწევთ. მათ ამ პერიოდში უნდა მიუთითონ ჩასაბარებელი საგნები — არანაკლებ 4 გამოცდისა (მხოლოდ სახელოვნებო/სასპორტო მიმართულების ფაკულტეტებზე ჩაბარების მსურველებმა -არანაკლებ 3 გამოცდისა, მხოლოდ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა — არანაკლებ 1 გამოცდისა).

„15 მარტის შემდეგ აბიტურიენტი ველარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს, თუმცა 1 ივნისამდე შეეძლება გამოცდის დამატება, საგნის შეცვლა; მაგ. აბიტურიენტს არჩეული ჰქონდა ქიმია, მაგრამ გადაწყვიტა გეოგრაფიის ჩაბარება. ამ პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ენის შეცვლაც (მაგ.: ზოგადი უნარები ქართულად შეიძლება ჩანაცვლდეს ზოგადი უნარების გამოცდით აზერბაიჯანულად ან სომხურად და ა. შ.).

ასეთი შესაძლებლობა ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატის დანერგვასთან ერთად გაჩნდა — წინა წლებში ტესტების უცხოეთში დასაბეჭდად დაზუსტებული ინფორმაცია თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი, 2016 წლიდან პროცესი ამ კუთხითაც გაცილებით მოქნილი გახდება.

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ (1 ივნისი) საგანთა ჩამონათვალში ცვლილება ველარ განხორციელდება“, — აცხადებენ გამოცდების ცენტრში. 2016 წლის გამოცდებს ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩააბარებენ: აბიტურიენტები; პედაგოგები (პედაგოგობის მსურველები); სტუდენტები; მაგისტრანტობის კანდიდატები.

ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. ახალი ფორმატის დანერგვის შედეგად მონაწილე დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.



სახსოვარი

ერთსა კაცსა ეყოფოდეს...

ბორის დარჩია თებერვალში 80 წლისა გახდებოდა. ჭეშმარიტი მეცნიერისათვის ეს თარიღი არც ბევრია და არცა — ცოტა!

ცოტა არ გახლავთ იმად, რომ ბევრი რამის გაკეთება მოასწრო, არაერთი მიგნებით, აღმოჩენით, სამეცნიერო მიღწევით გაალამაზა ის დრო, რაც განგებამ მიარგუნა; ცოტა არ გახლავთ იმიტომაც, რომ წუთისოფლის ოღროჩოღრო გზაზე ბევრი მეგობარი, თანამოაზრე და თანამგრძნობელი შეიძინა და მათთან ურთიერთობაში ფეხი არასოდეს გადაბრუნებია — ამხანაგისათვის ზურგი არ შეუქცევია და მტრისათვის — პირი; ბევრი კი იმიტომ არ არის, რომ კიდევ არაერთი გამკვლევა, იდეა და მიზანი ჰქონდა უზურში მონიშნული და მათი განხორციელება ვერ შეძლო. მაინც, რაც მოასწრო, სრულიად საკმარისია საიმისოდ, რათა სოფლიდან ჩამოსულ ნახევრად ტიტლიკანა ყმაწვილს აქ, დედაქალაქში, კარგი სახელი დაეგდო და იძულებული გავეხადეთ, გვეღიარებინა: „ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე სჭირდეს!“

ოზურგეთის რაიონის სოფელ სილაურში დაბადებულმა და გაზრდილს არ შეეძლო, ტოპონიმ სილაურს არ ჩაღრმავებოდა და მისი და ახლორე არსებული დასახლებების ეტიმოლოგია და მნიშვნელობა არ გაერკვია; არც ის არის მისაყურისძირებელი, რომ გურულთა ეთნოგრაფიულ-ყოფითი ამბები ესოდენ საინტერესოდ გამოხატა საგანგებო წიგნში — „სალაღობო და ნაღვლიანი ამბები“ (2012). მაინც ფილოლოგიის დოქტორის მთელი ცხოვრების აზრი იყო ვახტანგ მეექვსის, რუსთველისა და იაკობ დუმბაძე-შემოქმედელის სახელებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა და გადაწყვეტა. ნამდვილი მეცნიერება ორ ნახევარსფეროსა ჰგავს: ერთია

პრობლემის დაყენება, მეორეა მისი გადაწყვეტა. რამდენი მკვლევარი ვიცით, ან საკითხს ვერ წამოჭრის, ან კიდევ წამოჭრის, ოღონდ მისი გადაწყვეტის ძალი არ შესწევს. რა თქმა უნდა, ბორის დარჩია ამგვარი „მეცნიერებისაგან“ ძალზე შორს იდგა. მას ძალედვა როგორც პრობლემის დასახვა-ამორჩევა, ისე მისი შესწავლა და გადაჭრა. ამ მხრივ ავტორის წარმატებები თვალსა გვჭრის. საგულისხმო და გამოსარჩევია პირველივე შრომა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს იკვლევდა გაგრძელებათა მიხედვით (1975), საგულისხმოა, რომ, როგორც ყოველთვის, მკვლევარის ამ მონოგრაფიასაც არაერთი სწავლულის გამოხმაურება მოჰყვა: საკითხების მარჯვედ დასმითა და მათი მეცნიერული გადაჭრით გამოირჩევა ორი მომდევნო წიგნიც: „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“ (1985) და „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ (1988). აქ ბოლომდეა გაშუქებული მეფე-პოეტის ყოფა-ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების მანამდე ბუნდოვანი თუ გაურკვეველი საკითხები. მარტო ის რადა ღირს, რომ მეფის სხვათათვის მიწერილი აფორიზმები და გამონათქვამები მეფესვე დაუბრუნდა; არც ის გვეჩვენება შემთხვევით მოვლენად, რომ ამ ნარკვევებს ათამდე ავტორი გამოეხმაურა და ყოველი მათგანი მკვლევარის უარუთქმელ წარმატებას ადასტურებდა.

ცალკე მსჯელობას მოითხოვს მეცნიერის რუსთველოლოგიური მოღვაწეობა. რუსთველოლოგიური გამოკვლევების I და II ტომები (2010. 2015) ეხება ამ დარგის თითქმის ყველა კარდინალურ პრობლემას, ბევრ მათგანს ნათლად და უმაგრამოდ წყვეტს, ზოგიერთის გადაჭრის მართებულ გზებსა სახავს და ზოგჯერ საკითხის დასმის წესით მსჯელობს. დიახ, ბორის დარჩია საკმაოდ ფრთხილი მკვლევარი იყო და ბევრ ისეთ სამეცნიერო მსჯელობას აცხადებდა საკითხის დასმის წესით წარმოდგენილად, რომელთაც სხვები საკითხის საბოლოოდ გადაჭრადაც წარმოისახავდნენ. თავდავიწყებული მუშაობის ამ გზაზე ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახლდათ საცნობარო-სამეცნიერო წიგნი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ (1966), რომელიც მეცნიერთა მთელმა ბრიგადამ ბორის დარჩიას ხელმძღვანელობით მოამზადა.

აღნიშნული და ასევე ცალკე სტატიებად გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ჩვენი მკვლევარი პატიოსან, გამოჩენილ და უკომპრომისო მეცნიერად გვევლინება. ეგ უკომპრომისობა და პოლემიკური პათოსი საუკეთესოდ არის გამომჟღავნებული 2008 წელს გამოსულ მონოგრაფიაში. მას ასე ეწოდება —„უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“, აქ ზედმიწევნით და დაუფარავად არის ნაჩვენები თანამედროვე რუსთველოლოგიის კრახი, ის, თუ ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში როგორ წავიდა უკან აღნიშნული პრივილეგირებული დარგი, როგორ მომრავლდნენ ამ ასპარეზზე რუსთველოლოგიური ლახუდრები და პრაშმანდოვკები.

საგულისხმოა: აღნიშნულ პირველხარისხოვან გამოკვლევებსაც სათანადო მხარდაჭერა ჰქონდა პატიოსანი, გაბედული და პრინციპული მკვლევარების მხრიდან, ხოლო ერთმა მწერალმა ასეთი სათაურიც კი გამოიყენა — „წმინდანის სისხლზე წმინდა“, რითაც მარჯვედვე მიანიშნა: ჭეშმარიტი მკვლევარის სისხლი წმინდანის სისხლზე წმინდაც კი არისო!

განსაკუთრებული ხმაური და აურზაური გამოიწვია მეცნიერის უტყუარმა აღმოჩენამ: მან გაარკვია, რომ XII საუკუნის მგოსნის იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ დაკარგულია, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული 107 სტროფიანი სახოტბო პოემა ყოფილა არა შავთელისა, არამედ იაკობ დუმბაძისა. იაკობ მიტროპოლიტი კი მოღვაწეობდა შემოქმედის ეკლესიაში. მან 1661 წელს იმერეთის მეფედ მოვლენილ არჩილ ბაგრატიონს მიართვა ჩახრუხაძის „თამარიანის“ წაბაძვით შეთხზული „ქება მეფისა არჩილისა“, ნიკო მარის, ივანე ლოლაშვილისა და სხვათა საბედისწერო შეცდომების გამოისობით ეგ თხზულება ნამდვილ ავტორს წაართვეს და მიაწერეს შავთელს.

აღნიშნულის შესახებ დოქტორმა ბორის დარჩიამ სტატიების გამოქვეყნება ჯერ კიდევ წინა საუკუნის დამლევს დაიწყო, სენსაციურ წერილებს 2009 წელს მიაყოლა 575-გვერდიანი მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელი“. ამ სამეცნიერო გარღვევასაც აღტაცებული გამოხმაურებები მოჰყვა, საინტერესოა ერთ-ერთი რეცენზიის სათაური —„ფილოლოგიური მეცნიერების სირცხვილი და ახალი სენსაციური აღმოჩენა“. მეორე გამოხმაურება კი ასე იყო სახელდებული — „დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“.

აღნიშნულ გამოკვლევაზე დაყრდნობით ბორის დარჩიამ მოამზადა და გამოსცა იაკობ შემოქმედელის თხზულებათა სრული კრებული (2014), რომელსაც თან ერთვის მდიდარი სამეცნიერო აპარატი. ეს გახლავთ უდიდესი და უსაჩინოესი აგური, რომელიც მკვიდრად არის ჩაშენებული ქართული მწერლობის გალავანში.

ჩვენი მკვლევარი როდი იყო შემოზღუდული ერთი ან ორი კონკრეტული თემით. ამისი დასტურია ორი მონოგრაფია: „ბაგრატ ბატონიშვილი“ (2011) და „ფილოლოგიური ძიებანი“ (2013). ეს ნაშრომები ქართული ლიტერატურის ისტორიის ბევრ ხარვეზს ავსებენ და ავტორის ფართო თვალსაწიერზეც მეტყველებენ.

მეცნიერს გამოუცემელი დარჩა ნახევრად დასრულებული ორი ნაშრომი: ვახტანგ მეექვსის თხზულებათა სრული კორპუსი, რომელსაც ახლავს ვრცელი სამეცნიერო აპარატი. იგი მოცულობით აკად. ალ. ბარამიძის ცნობილ გამოცემას ორჯერ აღემატება. ასევე თითქმის დასრულებული დარჩა ძალიან საინტერესო ნარკვევი „სტალინი და ქართველი მეცნიერები“, რომელიც უაღრესად საინტერესოდ იკითხება.

ჭეშმარიტი მეომარი ბრძოლის ველზე იღუპება: გემის კაპიტანი ხომალდს ბოლომდე არ შორდება და მასთან ერთად იძირება; ასეა ნამდვილი მეცნიერიც. ბორის დარჩია ძველ ნათხოვარ კომპიუტერს უჯდა და ვახტანგ მეექვსის სტრიქონებს თავგამეტებით ჩაჰკირკიტებდა, როდესაც გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სილაურში, საყვარელი დედ-მამის გვერდით.

ამ სამახსოვრო წერილს კი იმით ვამთავრებთ, რითაც დავიწყეთ:

„ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე სჭირდეს!“

მეგობართა ჯგუფი

სულთათანა

ევა ბერგერი - „იავნანასა“ და ქართველი ბავშვების დიდი მეგობარი

ქველმოქმედი დიპლომატის გვერდით მთელი მისი ქვეყანა იდგა

როდესაც კეთილ საქმეს იწყებ, რატომღაც მის წარმატებაში უფრო რთულია დაარწმუნო სხვა ადამიანები. თუმცა არიან გამორჩეული პიროვნებები, ვისაც ყოველთვის კარგად აქვს გაცნობიერებული საზოგადოების კეთილდღეობის მნიშვნელობა და ის, რომ თუ შენს გვერდით ბევრ ადამიანს უჭირს, რასაც არ უნდა მიაღწიო, ეს მაინც შენს წარუმატებლობად დარჩება. ქალბატონი ევა ბერგერი სწორედ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა.

ის ერთ-ერთი პირველი დაუდგა გვერდით ობოლ და მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო აქციებს და 2004 წლიდან მოყოლებული ფონდის ერთგული მეგობარი გახდა. აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა აქციაში, ეცნობოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების ისტორიებსა და ბავშვების ოცნებებს. ხშირად მათთვის ყველაზე სასურველი ყველაზე ელემენტარული ნივთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენმა ფოტო-კამერამ დააფიქსირა 4 წლის ლუკა მეცხვარიშვილის სიხარული, როდესაც ქალბატონმა ევამ საშა კორსანტიას კონცერტის დასასრულს მას პირდაპირ სცენაზე ახალი ველოსიპედი გამოუყვანა.

სოციალურად დაუცველი პატარებისთვის ახალციხეში სპეციალური სკოლის შექმნაში მიიღო მონაწილეობა. როდესაც გადაწყდა, რომ „იავნანას“ ბავშვები, ვისი თვალსაწიერიც მანამდე ბავშვთა სახლის ეზოს არასოდეს გასცდენოდა, ფონდის მეგობართა თანადგომით უცხოეთში სამოგზაუროდ უნდა წასულიყვნენ, მათი მგზავრობის უზრუნველყოფაც ქალბატონმა ევა ბერგერმა ითავა.

ჩვენმა ფონდმა და მთლიანად ქართულმა საზოგადოებამ ქალბატონი ევას სახით დაკარგა მზრუნველი მეგობარი, ადამიანი, რომელიც ყოველთვის გასაოცრად წარმოაჩენდა თავის სტატუსს, ის საამაყო დიპლომატი და თავისი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი იყო საქართველოში, რომელიც ყოველთვის გვიჩენდა შეგრძნებას, რომ ჩვენს გვერდით არამხოლოდ ერთი ადამიანი, არამედ მთელი მისი ქვეყანა იდგა.

ფონდ „იავნანას“ გამგეობა

ფონდი „იავნანა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალრის, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „შეჯიბრის“ დამაარსებლის, ფონდის ერთგული მეგობრისა და მხარდამჭერის

თამაზ გოგოტიშვილის

გარდაცვალების გამო.

ფონდ „იავნანას“ გამგეობა სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ხსოვნა

მერაბ შამათავა

არიან ადამიანები, რომელთა უეცარი წასვლით თითქოს რაღაც მთავრდება ჩვენ ირგვლივ. სწორედ ასეთი ადამიანი იყო **მერაბ შამათავა,** საოცარი ბუნების, სპეტაკი სულის პიროვნება.

მერაბი იყო ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, გვერდში მდგომი, საიმედო დასაყრდენი, ერთგული, თავისი გასაჭირის ჩუმად ამტანი და შენი სიხარულის ხმამაღლა გამზიარებელი, რეგიონის, ქალაქის, ოჯახის მოამაგე...

ასეთი დაამახსოვრდებათ იგი სენაკელ, და არა მარტო სენაკელ, უამრავ ნაცნობ-მეგობარს და კეთილმოსურნეს.

იგი ხელმძღვანელობდა ზუგდიდის საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობას, სადაც გამოვლინდა მისი შესანატრი ორგანიზატორული ნიჭი, წარმატებული ხელმძღვანელისთვის საჭირო ყველა თვისება... რამდენს დახმარებია და გზაზე დაუყენებია, რამდენისთვის გაუწვდია ხელი, გვერდში დადგომია მორალურად თუ მატერიალურად. ყველაფრის გახსენება, რა თქმა უნდა, ძნელია. ძალიან დააკლდება იგი ჩვენს მხარეს, ყოველთვის იქნება ჩვენთვის როგორც მაგალითი კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის და სიყვარულისა.

ჩვენო მერაბ, რა დააშრობს იმ ცრემლებს, რა დააცხრობს იმ გაუნელებელ ტკივილს შენმა სიკვდილმა რომ მოგვაყენა, შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ვლოცულობთ შენი სულისთვის.

ვთხოვთ უფალს, ნათელ მარადისობაში დაგიმკვიდროს სასუფეველი, მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მშობლიური მიწა.

ოჯახი, ახლობლები.

დაკრძალვა სამშაბათს, 9 II, სენაკში, გამოსვენება იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრიდან, 15 სთ.

დემურ, აპოლონ, თამაზ, ანგელინა, ლეილა, ანა გადელიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონ ნოდარ ზაზაძის ძმის

გიორგი ზაზაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ინფორმაცია

ცვალებადი ამინდი კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება

ბარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საქართველოში შენარჩუნდება ცივი და ნალექიანი ამინდი.

9-11 თებერვალს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი. ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე იქროლებს აღმოსავლეთის ძლიერი ქარი. ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს +11, +16 გრადუსამდე. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში შესაძლებელია მცირე თოვლი. ღამის მინიმალური ტემპერატურა დაიკლებს -1, -6 გრადუსამდე, დღისითაც შენარჩუნდება ცივი ამინდი.

12 თებერვალს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იწვიმებს.

13-14 თებერვალს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია თბილი და უმეტესად უნალექო ამინდი.

თაღლითმა ქალბატონებმა მილიონები მიითვისეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი 1 013 390 ლარის ღირებულის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტი გამოავლინა.

ბრალდებულები — მარიამ ძულიაშვილი, მარინე ნადირაძე, ანა მაღრაძე და ცისანა გაბუნია დანაშაულებრივ კავშირში შევიდნენ გარდაბნის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ყოფილ უფროსთან შოთა დიდებაშვილთან და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის ყოფილ უფროს კახაბერ ქარელთან. 2001-2006 წლებში საჯარო მოხელეთა დახმარებით ბრალდებულებმა შეადგინეს უძრავი ქონების შეძენის ყალბი ოქმები და თაღლითურად დაეუფლნენ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 11 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, შემდგომში კი უძრავი ქონება ეტაპობრივად გაყიდეს სხვადასხვა პირებზე.

მთავარია, სატრფოს ესიამოვნოს

ფილადელფიელ (აშშ) მკვლევართა აზრით, სექსტინგი (ინტიმური ხასიათის შეტყობინებებისა და ფოტოსურათების გადაგზავნა კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებით), რომანტიკულ ურთიერთობათა ხარისხს ზრდის.

სპეციალისტებმა 18-დან 82 წლამდე ასაკის 870 ამერიკელი გამოკითხეს, რომელთაგან ნახევარს ქალბატონები შეადგენდნენ. მონაწილეებმა მკვლევარებს უამბეს, თუ რამდენად ხშირად უგზავნიან ახლობლებს ინტიმური შინაარსის შეტყობინებებს. აღმოჩნდა, რომ 88 პროცენტს ასეთი შეტყობინება ცხოვრებაში ერთხელ მაინც აქვს გაგზავნილი; 82 პროცენტს ასეთი რამ შარშან აქვს გაკეთებული; 75 პროცენტს ასეთი შეტყობინებები გაგზავნილი აქვს ისეთი პირისთვის, ვისთანაც სერიოზული ურთიერთობები ჰქონდა, ხოლო 43 პროცენტს — შემთხვევითი პარტნიორისთვის.

გაირკვა, რომ ინტიმური შინაარსის შეტყობინებები სექსუალურ კმაყოფილებას იწვევს განსაკუთრებით იმ ადამიანებში, ვისაც ერთმანეთთან ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებს. სექსტინგით გატაცება მკვეთრად აუმჯობესებდა ერთმანეთისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამორჩეულ პარტნიორებში.

სნეულება თუ ნევროზი?

შემოდგომასა და გაზაფხულზე, მაშინ, როცა ამინდი ხშირად იცვლება, ბევრნი თავს ცუდად გრძნობენ, ექიმები კი ამას „მეტეოდამოკიდებულებით“ ხსნიან.

ამასთან, როგორც აღმოჩნდა, ტერმინი „მეტეოდამოკიდებულება“ არც ევროპელი, არც ამერიკელი მედიკოსებისთვის ცნობილი არ არის. იქაურ ექიმებს მიაჩნიათ, რომ როცა პაციენტი თავს შეუძლოდ გრძნობს, ამის ახსნა ამინდით ან ასაკით არ შეიძლება, საჭიროა გაცილებით სიღრმისეული მიზეზების ძებნა. ცხადია, არის ისეთი დაავადებები, რომელთა დროს პაციენტი ან ცივ, ან ცხელ ამინდში თავს უკეთ გრძნობს. მაგრამ, შედარებით ჯანმრთელ ადამიანზე ამინდს ცვლილების მაინცდამაინც დიდი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია. მაგნიტური ქარიშხლები ან ანომალიური ატმოსფერული წნევა უარყოფითად მოქმედებენ ნერვულ ადამიანებზე, ვისაც ფუნქციონური რეგულაცია დარღვეული აქვს, რაც მათ საკუთარი მდგომარეობისადმი განსაკუთრებულად მგრძნობიარეს ხდის.

თოვლის პაპის „დანიშნული“ შვილიშვილი

ბევრს მიაჩნია, რომ თოვლის პაპის შვილიშვილი ფიფქია... წარმართული დროიდან მოსული პერსონაჟია.

ლეგენდაში ქალწული თითქოს ტყეში მიჰყავდათ და ზამთრის და სიკვდილის ქალღმერთ მორანასა და მის ხელქვეით ყინვას სწირავდნენ. მაგრამ, ამის თაობაზე ისტორიკოსი ალექსანდრე ბაირამოვი ამბობს, რომ ეს უბრალო მონაგონია, ფიფქია, უბრალოდ, ზღაპრის გმირია, რუსეთული კოლობოკის მსგავსი. უშვილძირო ბებერი ცოლქმარი ხელთ არსებული მასალისგან შვილს ძერწავს, მაგრამ ბოლოს „თვითნაკეთი“ ბავშვი იღუპება. ასევეა ოსტროვის პიესაში და რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში, მაგრამ ფიფქია იმდენად სიმპათიური პერსონაჟი გამოდგა, რომ „მეორე სიცოცხლე“ შეიძინა.

პირველი ფიფქიები რუსეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში მას შემდეგ გაჩნდნენ, რაც ახალმა წელმაც შობის დღესასწაულის დარი სტატუსი მიიღო. თოვლის პაპის შვილიშვილად კი იგი 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ „დანიშნა“.

გაუფრთხილდით ყურებს!

ყურების ჰიგიენის დაცვისას ბევრნი მათ ბამბის ჩხირებით იწმენდენ, არადა ამის კეთება არც მთლად უსაფრთხოა.

ამ დროს მთავარია, ყურების ბუნებრივი დაცვა არ დავაზიანოთ. სმენითი დერეფნის კანში გოგირდის ჯირკვლებია, რომლებიც სპეციალურ სეკრეტს გამოიმუშავებენ, რომელიც გარედან შეჭრილ ინფექციას გავრცელების საშუალებას არ აძლევს. კანის ბუსუსებს კი ეს სეკრეტი გარეთ გამოაქვთ. საიმისოდ, რომ ეს ბუსუსები არ დააზიანოთ, ყურები უნდა დაიბანოთ და არა ბამბის ჩხირებით გაისუფთაოთ!

გარდა ამისა, თუ ყურში რამე საგანი გაგეჩხირათ, მისი თითებით, პინცეტით, ჩხირებით, ქინძისთავებით, კბილის საჩიჩქნებით და სხვა ამგვარი საგნებით ამოღებას ნუ ეცდებით. ყველაფერი როგორც არის ასევე უნდა დატოვოთ და სასწრაფოდ ექიმს მიაშუროთ!

მზის „შემცვლელები“

ზამთარში მზე ყველას გვაკლია, ინსოლაციის ნაკლებობის გამო კი ვიტამინი D ჩვენს კანში, პრაქტიკულად, არ სინთეზდება. ამიტომაც საჭიროა მისი შემცველი ვიტამინის ან და საკვების მიღება.

ეს, უწინარესად, ცხიმიანი თევზი, საქონლისა და თევზის ღვიძლი, რძის პროდუქტები, კვერცხი (ვიტამინ D-ს განსაკუთრებით დიდი ოდენობით გული შეიცავს).

45 წელს გადაცილებულ ადამიანებს ამ ვიტამინის შეთვისების უნარი უქვეითდებათ, ამიტომაც მისი უფრო მეტად მოხმარება ესაჭიროებათ.

ქუდი არ დაგავიწყდეთ, ქუდი!..

ზამთრის ცივ დროს ქუდის ან თავსაბურავის ტარებაა საჭირო, ყინვაში თავშიშველი სიარული სახიფათოც კია.

თავის კანში ბევრი სისხლძარღვია, ამიტომ ცივი ჰაერი სისხლს მალევე აცივებს, რომელიც სხეულში შებრუნებისას მისი ტემპერატურის დაწევას პროვოცირებს. ამიტომაცაა, რომ თბილად ჩაცმული კაცს უქუდოდ მალევე სცივდება. მედიკოსებს სათანადო ტერმინიც კი აქვთ — „უქუდო თავის სინდრომი“. ქუჩაში უქუდოდ ყოფნის შემდეგ შესაძლოა საყლაპავის, სახის, სამწვერა ან კეფის ნერვის გაციება, ოტიტი და ჰაიმორიტი. ჭარბი სიცივე სისხლძარღვთა სპაზმებს იწვევს, რომლის შედეგი შესაძლოა ძლიერი თავის ტკივილი გახდეს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **შვილო, მამაშენის ნაჩუქარი ყველა სათამაშო უკვე გატეხე? — ეკითხება დედა პატარა მიხოს.**

— **არა, დედი, ჩაქუჩი დამრჩა.**

* * *

— **რობერ ცხოვრობ?**

— **შენი ლოცვა-კურთხევით.**

— **ესე იგი, ვალს ახლავე დამიბრუნებ?**

* * *

მივლინებაში წასვლამდე ქმარმა პროფილაქტიკური მუშაობა ჩამიტარა — სპექტაკლ „ოტელოზე“ წამიყვანა.

* * *

გუშინ ელექტროთერმომეტრი შევიძინე, მაგრამ იგი თურმე ქალებისთვის არ ვარგა. — ეუბნება ნატაშა დაქალს.

— **რატომ?**

— **რატომ და, ინსტრუქციაში წერია, ტემპერატურის ორალურად გაზომვის წინ პირი ხუთი წუთით უნდა გქონდეს დახურულიო.**

* * *

თუ გაავებული ხულიგნების ბრბოს გაურბიხართ, შეეცადეთ, აუხსნათ მათ, რომ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეიძლება მოლაპარაკებით, მშვიდობიანად, ძალადობის გამოუყენებლად... მაგრამ ამ დროს სირბილის ტემპის შენელება სულაც არ არის საჭირო.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!